ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

„ბირჭა მაფიას“ წევრს, გიორგი ქებურიას, პროკურატურა 36.815 ლარს გადაუხდის

გვ.5

ხუთშაბათი, 18 თებერვალი, 2021 №24 (8553) ფასი: 60 თეთრი

ნიკა მელიას პატიმრობა შეეფარდა

გვ.2

გვ.3

მამუკა ახვლედიანი: „არ მჯერა, რომ მოსამართლე ჩახნაშვილმა დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღო“

ნიკა მელია: „ან თავისუფალი საქართველო, ან დამონებული საქართველო!“



გვ.3

„20 ივნისის სახელმწიფო გადატრიალება აბსურდული ბრალდებაა“

ვახტანგ ძაბირაძე: „ყველაზე უკეთესი ვარიანტი იყო, პარლამენტს მელიასთვის არ მოეხსნა იმუნიტეტი და საქმე სასამართლომდე არ მისულიყო“

თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილი ჩრდილში გადავიდა საქართველოსთვის უმძიმეს დროს“

„ხელისუფლება გააკეთებს ყველაფერს, რაც გაუვა“

გვ.4

„ეკონომიკა თავიდან ბოლომდე უნდა გაიხსნას“

პაატა შეშელიძე: „ხელისუფლება არასწორი გადაწყვეტილებებით აფერხებს ბუნებრივ პროცესებს“

გვ.4

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამის ღონისძიებებს განაგრძობს

გვ.5

ISSN 1987-9385

3 გოგა ხაინდრავა: „გავრილოვი საქართველოში ელენე ხოშტარიამ ჩამოიყვანა“

2 სოზარ სუბარი: „ნაციონალური მოძრაობის ოფისი არ არის პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“

5 25 წლის ყოფილი პოლიციელი 18 წლის გოგონაზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააკავეს

6 გერმანიაში კოვიდით ინფიცირებულთა 22% „ბრიტანულ“ ვარიანტზე მოდის

ნიკა მელია: „ან თავისუფალი საქართველო, ან დამონებული საქართველო!“



გუშინ, 17 თებერვალს, გვიან ღამით, პატიმრობის ვერდიქტის გამოტანის შემდეგ, ნიკა მელიამ პირველი კომენტარი გააკეთა.

– თავშივე დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ მხარდაჭერისთვის, ყველა ჩემი კოლეგის სახელით, ძალიან დიდი სოლიდარობა ვიგრძენი უკანასკნელი დღეების განმავლობაში, ისეთი, როგორიც არასდროს 41 წლის განმავლობაში არ მიგრძნია.

გუშინ ჩვენ ვიხილეთ გავრილოვის პარლამენტი, დღეს კი ყველამ ერთად ვიხილეთ გავრილოვის სასამართლო. თუმცა, ყველაზე მთავარი, ხვალინდელი დღე, არც მეტი და არც ნაკლები, ჩვენი მომავალი, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული.

გუშინდელი სხდომაც იყო სასამართლო სხდომა და დღევანდელ სასამართლო სხდომაზე გამოტანილი ვერდიქტი არ ასამართლებს ერთ ცალკეულ ადამიანს, ან ორ, სამ, ათ ცალკეულ ადამიანს, ვსამართლდებით ამ განაჩენით ყველა, ვინც ვდგავართ ისტორიის სწორ მხარეს, ვინც 2019 წლის 20 ივნისს გამოვიდა რუსთაველის გამზირზე, ხმა აიმაღლა, არ შეშინდა, სამართლიანად აღშფოთდა. ასამართლებენ ყველა იმ ადამიანს, ვინც არის მომხრე უკეთესი ხვალინდელი დღისა, არის მომხრე განვითარებული საქართველოსი.

რა დილემის წინაშე ვდგავართ – ან თავისუფალი საქართველო, ან დამონებული საქართველო, ან ღირსეული საქართველო, ან ღირსება აყრილი საქართველო, ან თავისუფალი ხალხის, თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მომავალი, ან ოკუპანტის ბორკილები, – თქვა ნიკა მელიამ.

მისი განცხადებით, დასრულებულია ყოველგვარი პარტიული პოლიტიკა და არსებობს ორი მხარე – ერთ მხარეს ქართული ეროვნული მოძრაობა და მეორე მხარეს ოკუპანტის ინტერესები და ივანიშვილის წარმომადგენლები.

ბადრი ჯაფარიძე: „ნიკა მელიას დაპატიმრების გადაწყვეტილება ოპოზიციის დაპატიმრებაა“

პატიმრობის შეფარდება ოპოზიციის დაპატიმრების ტოლფასია. როგორც მან „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში გუშინ გვიან ღამით გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ისინი სასამართლოს გადაწყვეტილებას უპირისპირებენ სრულ სოლიდარობას და სიმშვიდეს.

– სამწუხაროდ, ხელისუფლებამ კონფრონტაციის, დაპირისპირების გაღრმავების გზა აირჩია. ნიკა მელიას დაპატიმრების გადაწყვეტილება არის დაპატიმრება ოპოზიციის შესახებ. ეს არის ტოლფასი ოპოზიციის დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილების. შესაბამისად, ჩვენ ამ გადაწყვეტილებას ვუპირისპირებთ სრულ სოლიდარობას, სიმშვიდეს. ჩვენს ხელში ყველაზე დიდი ძალა და იარაღი არის სიმართლე და ზრუნვა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული მომავლისთვის.

ეს არის ისეთი იარაღი, რომელიც ყველაფერს დააამარცხებს და წინ აღუდგება ყველა ძალისმიერ მეთოდს ჩვენ წინააღმდეგ. ამიტომ, ამ პოზიციაში ჩვენ ერთიანი ვართ. სიმშვიდე, სრული სოლიდარობა და ზრუნვა იმაზე, რომ ამ ქვეყანაში ასეთი ტიპის მმართველობა დასრულდეს. მგონია, რომ ეს ამ თვალსაზრისით ისტორიული დღეა იმიტომ, რომ ჩვენ ყველამ ერთად დავინახეთ, ხელისუფლება ვერ აცნობიერებს პასუხისმგებლობას, რომელიც მას აკისრია. მას მიაჩნია, რომ ძალისმიერი მეთოდით შეიძლება დათრგუნო თავისუფალი სული, რაც ასე არ არის. ისინი დაინახავენ საპასუხო რეაქციას, რომელიც იქნება მშვიდი, მშვიდობიანი და სრული სოლიდარობა, – განაცხადა ჯაფარიძემ.

სოზარ სუბარი: „ნაციონალური მოძრაობის ოფისი არ არის პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“

ნაციონალური მოძრაობის ოფისი არ არის პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, არც ნიკა მელია არ არის ესმერალდა და ეს ამდენი კვაზიმოდო არ სჭირდება – თამაშობენ და დავანებოთ თავი.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა სოზარ სუბარმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“, ნიკა მელიას საქმეზე საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, სასამართლო არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი.

– გადამეტებული ბაქიბუქი შიშის ყველაზე კარგი ინდიკატორია და რისი ეშინიათ, მართლა ვერ გავიგე, კანონი არსებობს და უნდა იკანონოს, ამას წინ ვერავინ ვერ აღუდგება. გაუგებარია, რას აპირებენ. ზოგადად უნდა გითხრათ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისი არ არის პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, არც ნიკა მელია არ არის ესმერალდა და ეს ამდენი კვაზიმოდო არაფერში არ სჭირდება.

კანონი ასრულდება, კიდევ ერთხელ გავიმეორებ და ვერავინ ვერ შეეწინააღმდეგება მას. თუ ვინმე ზედმეტს იზამს, ის შესაბამისად კანონი მათ მიმართაც ზუსტად ისეთივეა, როგორიც ნებისმიერი მოქალაქის მიმართ. ენას მთელი დღეა ხმარობენ და დავიღალეთ ჩვენც და მგონი მთელი საზოგადოებაც. თამაშობენ და დავანებოთ თავი. ამ თამაშით დაიღლებიან თვითონაც და რატომ ვერ ეგუებიან წაგებას?!

სასამართლო იმიტომაა სასამართლო, რომ არავის ჭკუაზე არ გაივლის და არავის ნებას არ აღასრულებს, ჩვენ მივეცით პროკურატურას საშუალება, რომ საქმე მისულიყო სასამართლოში. სასამართლო არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი და სასამართლო მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რა გადაწყვეტილებაც იქნება კანონიერი. ნიკა მელიას მართლა აქეზებენ. აქეზებს პირველ რიგში სააკაშვილი, რომელიც თვითონ ვერ ბედავს აქ ჩამოსვლას, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მიხეილ სააკაშვილი: „ნიკას და ჩვენი ყველას სამოქმედო გეგმა კანონისა და სამართლის სადარაჯოზე ყოფნაა“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, ნიკა მელიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შემდეგ, მათი სამოქმედო გეგმა კანონისა და სამართლის სადარაჯოზე ყოფნაა.

მისი თქმით, მოსამართლის გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ „ბიძინა ივანიშვილმა ბოლომდე გახრწნა და გააუბედურა ქვეყანა, თითოეული ადამიანის მორალი და სინდისი“.

– ნიკას და ჩვენი ყველას სამოქმედო გეგმა კანონისა და სამართლის სადარაჯოზე ყოფნაა. სამართლიანობას ფეხქვეშ თელავენ. მხოლოდ ის ერები არიან წარმატებული, რომლებსაც შეუძლიათ ძალმომრეობის შეკავება, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, – განაცხადა სააკაშვილმა.

მისი შეფასებით, ბიძინა ივანიშვილი თავისუფლების მოყვარე ქართველებს ან ციხეში სვამს, ან იძულებულს ხდის, რომ ქვეყანა დაატოვებინოს.

– ივანიშვილის გეგმა დღესავით ნათელია – ყველა თავისუფლების მოყვარე ქართველი შეიძლება იყოს ან ციხეში, ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ, – განაცხადა სააკაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ახლა საზოგადოება უნდა გაერთიანდეს.

– ამ სიტუაციაში ჩვენი ერთადერთი ამოცანა არის, რომ საზოგადოების ერთიანობა გადაიზარდოს იმაში, რაც საქართველოს მოსახლეობამ გასული წლის ოქტომბრის არჩევნებზე თქვა. ამ დღეებში გვავიწყდება და ხშირად არ ვახსენებთ ოქტომბრის არჩევნებს. საქართველოს ხელისუფლება არის არალეგიტიმური, რადგან მან არჩევნები მოიპარა, – განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, დღეს საქართველოში არ აღმოჩნდა არც ერთი სინდისიერი მოსამართლე და პროკურორი.

– სამწუხაროდ, საქართველოში არ აღმოჩნდა არც ერთი სინდისიერი მოსამართლე, არც ერთი სინდისიერი პროკურორი. ეს ნიშნავს იმას, რომ ივანიშვილმა ბოლომდე გახრწნა და გააუბედურა ჩვენი ქვეყანა, თითოეული ადამიანის მორალი და სინდისი. საქართველოში მოსამართლეთა კორპუსი არ არსებობს იმიტომ, რომ ყველა ერთი, დიდი ნათესაური „კლანია“, რომელიც ერთად ქაფავს ფულს, – განაცხადა სააკაშვილმა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში.

ელენე ხოშტარია: „პირობას ვაძლევ ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“, რომ ეს უკანონობა ვერ იარსებებს“

– ჩვენ ამას არ ვემორჩილებით სიმშვიდით, სიმტკიცით, პრინციპულობით და ერთიანობით – პირობას ვაძლევ ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“, რომ ეს უკანონობა ვერ იარსებებს, რადგან ხალხი განსაზღვრავს ამ ქვეყნის მომავალს და არა თქვენი მონა პარლამენტარები, მოსამართლეები, პროკურორები და პოლიციელები.

ამის შესახებ პოლიტიკოსმა ელენე ხოშტარიამ ნაციონალური მოძრაობის ოფისში განაცხადა, რითაც ნიკა მელიასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა.

მისი თქმით, ისინი „მშვიდად გაისტუმრებენ“ მოქმედ ხელისუფლებას.

– 2019 წელს ჩვენ ვიხილეთ „ქართული ოცნების“ თავხედობა, როცა მათ შეურაცხყოფა მიაყენეს საქართველოს აბსოლუტურად ყველა მოქალაქეს, თუმცა, იმავე წამს, იმავე დროს, ჩვენ ვიხილეთ ერთ მუშტად შეკრული საქართველო, რომელმაც უთხრა, რომ საქართველოს მოქალაქე არ იღებს ამ შეურაცხყოფას, არ დაისვამს თავზე გავრილოვს და გავრილოვი გავაბუნძურეთ იქიდან, ჩვენ ვიყავით ამაყი ერი სწორედ ერთი წლის წინ. დღეს „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, რომ განაჩენი გამოუტანოს საქართველოს დემოკრატიას, თავისუფლებას და მომავალს და ზუსტად ასევე დღეს, ერთ მუშტად შეკრულები, ჩვენ ვიძახით, რომ ეს არ მოხდება ასე, ჩვენ ამას არ ვემორჩილებით სიმშვიდით, სიმტკიცით, პრინციპულობით და ერთიანობით.

პირობას ვაძლევ ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“, რომ ეს უკანონობა ვერ იარსებებს, რადგან ხალხი განსაზღვრავს ამ ქვეყნის მომავალს და არა თქვენი მონა პარლამენტარები, მოსამართლეები, პროკურორები და პოლიციელები, არაფერი არ მოხდება, მშვიდად ვიდგებით ერთად და გავისტუმრებთ ამ ხელისუფლებას, – განაცხადა ხოშტარიამ.

პროკურორი: „იმედი გვაქვს, მელიას დაპატიმრება გონივრულ ვადაში მოხდება“

ნიკა მელიას საქმის პროკურორის, მიხეილ სადრაძის განცხადებით, მოსამართლემ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შესაბამის ორგანოს დაავალა.

რაც შეეხება დროს, რა ვადაში უნდა აღსრულდეს სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს სხვა უწყებას ეხება, კითხვაზე კონკრეტულ პასუხს ვერ გასცემს, თუმცა მელიას დაკავება „გონივრულ ვადაში მოხდება“.

– რაც შეეხება აღსრულების ნაწილს, სასამართლომ ამ გადაწყვეტილების აღსრულება შესაბამის ორგანოს დაავალა. აქედან გამომდინარე, ამ გადაწყვეტილებას შეასრულებს შესაბამისი ორგანო მაქსიმალურად გონივრულ ვადაში. გამომდინარე იქიდან, რომ ამას სხვა უწყება ასრულებს, მე კონკრეტულ პასუხს ვერ გეტყვით, თუმცა, კანონმდებლობაში კონკრეტული ვადა არ არსებობს. იმედს გამოვთქვამთ, რომ განსხვავებით სასამართლოში არ გამოცხადებისა, ბრალდებული ამ შემთხვევაში მაინც გამოცხადდება შესაბამის ორგანოში და მოახდენს სათანადო ქმედებას, – განაცხადა მიხეილ სადრაძემ.

მასობრივი ავარია ქარელი-გორის მონაკვეთზე



15 მანქანა დაიმტვრა

გუშინ, 17 თებერვალს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ქარელი-გორის მონაკვეთზე მომხდარი მასობრივი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 15 ავტომობილი დაზიანდა და რამდენიმე ადამიანი მსუბუქად დაშავდა.

დასავლეთ საქართველოდან თბილისის მიმართულებით მოძრავი ავტომანქანა ევაკუატორს შეეჯახა. ამ დროს მაგისტრალის აღნიშნულ მონაკვეთზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებმა შეჯახების თავიდან ასაცილებლად მანევრირება სცადეს, თუმცა, ლიპყინულის გამო, რამდენიმე ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა 15-მდე ერთეული ავტომანქანა, რამდენიმე ადამიანმა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო.

შემთხვევის შედეგად ავტობანზე მოძრაობა გარკვეული პერიოდით შეფერხდა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690

დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნიკა მელიას პატიმრობა შეეფარდა

მამუკა ახვლედიანი: „არ მჯერა, რომ მოსამართლე ჩახნაშვილმა დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღო“

იაგო ნაცვლიშვილი

ნიკა მელიას პატიმრობა შეეფარდა. 6-საათიანი განხილვის შემდეგ მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა პროკურატურის შუამდგომლობა სრულად დააკმაყოფილა და აღკვეთი ღონისძიების სახე გირაო წინასწარი პატიმრობით შეიცვალა.

ოპოზიციის ლიდერები გადაწყვეტილებას პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებენ. რა სამართლებრივი ნონსენსებია ნიკა მელიას საქმეში, რამდენად სწორად იმოქმედა მოსამართლემ და არის თუ არა ის მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანის გავლენების ქვეშ? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი საუბრობს.

— წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით რამდენად სწორი იყო, როდესაც ნიკა მელიას პარლამენტში მოუხსნეს დეპუტატის იმუნიტეტი და ამ პროცედურისას ადვოკატებს არ მიეცათ შესაძლებლობა, რომ არგუმენტები წარედგინათ?

— ზოგადად დეტალურად არ არის გაწერილი პროცედურა, როგორ უნდა იყოს, თუმცა სასურველია, რომ როდესაც ერთ მხარეს უსმენ, მეორე მხარესაც მოუსმინო. იმუნიტეტის მოხსნა პოლიტიკური საკითხია და ასეთი თემებისთვის არის გაკეთებული. იმაზე არ არის საუბარი, რომ დამნაშავეს იმუნიტეტი უნდა იცავდეს, მაგრამ თუ პარლამენტს უნდა შეფასება ეს პოლიტიკურია თუ არა, მაშინ ორივე მხარის პოზიცია უნდა მოისმინოს. უნდა დაინტერესდეს და წერილობით მაინც უნდა მიიღოს მეორე მხარის პოზიცია.

პირდაპირი ვალდებულება არ არსებობს, რომ მეორე მხარის პოზიცია მოსმენილი იყოს და სამართლებრივ საკითხს არ შეეხება, მაგრამ პარლამენტის რეგლამენტშიც არ მგონია გაწერილი იყოს დეტალურად, მაგრამ როდესაც იმუნიტეტით დაცული ადამიანის საკითხი უნდა გადაწყდეს, ნებისმიერ შემთხვევაში მეორე მხარის პოზიციაც უნდა იყოს მოსმენილი.

— მოსამართლეს რა გადაწყვეტილება უნდა მიეღო?

— ძალიან ბევრი შეცდომაა დაშვებული ამ საქმეზე. შემიძლია ვისაუბრო ამ შეცდომებზეც. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლებოდა განმეორებით გირაოს გამოყენება. ეს არის სამართლებრივი ნონსენსი. აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებულია გირაო და კიდევ დამატებით მისი გამოყენება არ შეიძლება. შეიძლება, რომ პატიმრობა და გირაო ერთდროულად იყოს გამოყენებული?! ზუსტად ასეთი საკითხია გირაოზე გირაოს გამოყენება.

მოსამართლეს შესაძლებლობა ჰქონდა, რომ ან დაეტოვებინა გადაწყვეტილება, ან შეეცვალა. მაგალითად, ვერ იხდის. ბევრი შემთხვევაა ასეთი, როდესაც ვერ იხდის გირაოს ადამიანი, მაგრამ თუკი ის არ ემალება გამოძიებას ან არ არის დანაშაულის გამეორების საფრთხე, მაშინ დატოვოს აღკვეთი ღონისძიების იგივე სახე და ამით არც არაფერი არ მოხდება. ასეთი რამეები პრაქტიკაში არსებობს.

— არის ასეთი შემთხვევები, როდესაც ვერ იხდის პირი გირაოს, მაშინ მას არ აკავებენ?

— კი, ასეთი ძალიან ბევრი შემთხვევა ყოფილა ჩემ პერიოდშიც და ახლაც ბევრი შემთხვევაა. როდესაც ადამიანს არ აქვს გადახდის საშუალება და იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულის გამეორების ან მტკიცებულებების განადგურების საფრთხე არ არსებობს, მაშინ მას უცვლელად ტოვებდნენ. მით უმეტეს, ამ შემთხვევაში თანამშრომლობდა გამოძიებასთან და არავითარი პრობლემა არ იყო ამ მხრივ.

მით უმეტეს, დიდი შეცდომა იყო ელექტრონული სამაჯურის ტარება. ასეთი ფორმა არ არსებობს. ეს არის უკვე სასჯელის ფორმა,

როდესაც საქმე სრულდება და შესაძლებელია, რომ სასჯელი განისაზღვროს შინა პატიმრობით, რაც განსაზღვრავს ამ ფორმას. შესაბამისად, ამის განმეორებით გამოყენება არაფრით არ შეიძლება. როდესაც მოუხსნეს ელექტრონული სამაჯური, ფაქტობრივად შეუმსუბუქეს ზომები. სამაჯურის და გირაოს ერთდროულად დანიშვნაც არ შეიძლებოდა. ის მოეხსნა და ფაქტობრივად ხელმეორედ შეუფარდეს გირაო, რაც უკვე დარღვევაა.

— ანუ, არ უნდა მოეხსნათ და ეს იყო არასწორი?

— არა. საერთოდ არ შეიძლება ელექტრონული სამაჯურის გამოყენება. არ არსებობს აღკვეთი ღონისძიების ასეთი ფორმა, ეს არის სასჯელის ფორმა.

— თავის დროზე, როდესაც სამაჯურის ტარება დაავალეს, ეს იყო შეცდომა?

— დიახ, ძალიან დიდი შეცდომა იყო. ვიმეორებ, არ არსებობს აღკვეთი ღონისძიების ასეთი ფორმა. ეს არის დასრულებულ საქმეზე სასჯელის ფორმა. თუ დაარღვევს ელექტრონული სამაჯურის ტარების წესს, მაშინ გაუცოცხლებენ იმას, რაც აქვს მისჯილი და შესაძლოა პატიმრობაში წაიყვანონ. აღკვეთის სახით კი მისი გამოყენება არ ხდება და არ არის საფუძველი, რომ პატიმრობა შეეფარდოს თუ რამე დაარღვია. ამის გაკეთების უფლებაც კი არ ჰქონდა პროკურატურას.

— გჯერათ, რომ მოსამართლემ დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება და თქვენ თუ იცნობთ პირადად მოსამართლე ნინო ჩახნაშვილს?

— მას პირადად ვიცნობ, მაგრამ მის სამოსამართლეო საქმიანობას ნაკლებად ვიცნობ. ვიცი, რომ თელავში მუშაობდა, მაგრამ რომც ვიცნობდე, გამიჭირდება შეფასების გაკეთება.

არ მჯერა, რომ დღევანდელ სასამართლოში და დღევანდელი მმართველობის პირობებში, ამ კატეგორიის საქმე ყოფილიყო ისეთ მოსამართლესთან, რომელიც მიიღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას.

— ანუ, ყველა ასეთი საქმე მთლიანად კონტროლდება მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანისგან?

— დიახ, მთლიანად კონტროლდება. შესაბამისად, საოცრება უნდა მოხდეს, რომ მოსამართლემ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღოს. მით უმეტეს, ასეთ პრინციპულ და გახმაურებულ საქმეებზე.

აბსურდია ამ საქმეში, რომ ყველაზე სწორი იქნებოდა აღკვეთის გარეშე დატოვება. ან პროკურატურას უნდა ეთქვა უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და თუნდაც გადაუხდელობის შემთხვევაში მისი პატიმრობით შეცვლა შეუძლებელი გახდებოდა.

თუმცა დამძიმების კუთხით სასამართლო ვერ დაასაბუთებდა და ვერც დაასაბუთა, რატომ შეუფარდა პატიმრობა. არაფერი დაურღვევია. სამაჯურის მოხსნა არ არის დარღვევა. დარღვევა იყო ის, რომ სამაჯური ეკეთა, თორემ მელიას თავად არაფერი დაურღვევია. ეს კიდევ ერთი სისულელეა, რაც აქამდე იყო. სამართლებრივად სწორი რაც არის და რაც იქნებოდა, მე იმაზე ვსაუბრობ.

— დამძიმებაში პატიმრობას გულისხმობთ?

— დიახ, რა თქმა უნდა.

„20 ივნისის სახელმწიფო გადატრიალება აბსურდული ბრალდებაა“

ვახტანგ ძაბირაძე: „ყველაზე უკეთესი ვარიანტი იყო, პარლამენტს მელიასთვის არ მოეხსნა იმუნიტეტი და საქმე სასამართლომდე არ მისულიყო“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

— ბატონო ვახტანგ, კარლ ჰარცელი აცხადებს, რომ ნიკა მელიას ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს პოლიტიკური ლანდშაფტისთვის დიდი გავლენა ექნება.

— არც ერთი მხარე დათმობაზე არ მიდის. ოპოზიცია უფრო და უფრო კონცენტრირდება ვადამდელ არჩევნებზე, რის შემდეგაც შეიძლება მხარეებს შორის დიალოგი გაიმართოს. თუმცა, ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებზე უარს ამბობს. რა იქნება შემდეგში, ეს უკვე დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ პოლიტიკურ პროცესებზე, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ზოგადად რა ვითარება იქნება ქვეყანაში. ოთხი წელი თუ მოლაპარაკებები ვერ შედგა, ქვეყანა მუდმივი დაპირისპირების რეჟიმში იქნება. თუმცა, ადგილობრივმა არჩევნებმა შეიძლება ვითარება შეცვალოს.

— რას იტყვით იმ მოსაზრებაზე, რომ დღეს „ქართული ოცნება“ ოპოზიციის საქმეს აკეთებს, მათ კოორდინაციას ხელს უწყობს.

— რა თქმა უნდა, ეს პროცესი ოპოზიციას ახალ თემას მისცემს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. დღეს ოპოზიციას არჩევნების გაყალბებაზე მეტი თემა არ აქვს, მელიას საკითხი კი იქნება უკვე ახალი ფაქტორი.

კიდევ ერთი ფაქტორია აქ მნიშვნელოვანი — სასამართლო პროცესი. ხელისუფლება



რამდენად დაამტკიცებს 20 ივნისის ბრალდებებს, იმ ბრალდებას, რომელიც წაყენებული აქვს მელიას. სახელმწიფო გადატრიალება აბსურდული ბრალდებაა და რთული იქნება მისი დამტკიცება, მაგრამ შეიძლება საქმე გადააკვალიფიციროს. საერთოდ ასეთი საქმეებით სავსეა პროკურატურა და ასეთი ბრალდებებით გამოდიოდა ამ ქვეყანაში ყველა ხელისუფლება ოპონენტის წინააღმდეგ. დღესაც ვხედავთ იმას, რაც თითქოს ბუნებრივია ამ ქვეყნისთვის 30 წლის მანძილზე, ამიტომაც ვტრიალებთ ერთსა და იმავე წრეზე.

— რამდენად გათვალა ხელისუფლებამ შესაძლო შედეგები?

— ვერ გეტყვით, ხელისუფლებას რამდენად ჰქონდა გააზრებული და გათვლილი ეს ყველაფერი, როდესაც ამ პროცესს იწყებდა. რასაკვირველია, აქ ვგულისხმობ დასავლეთთან ურთიერთობაში რა შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს მთელი ეს პროცესი და ა.შ. თუ გათვლილი არ არის ეს ყველაფერი და გარკვეულ შედეგებამდე არ მიიყვანს „ოცნებას“ მაინც, მაშინ ეს ძალიან დიდი შეცდომაა ხელისუფლების მხრიდან. მე მაინც ვთვლი, რომ ყველაზე უკეთესი ვარიანტი იყო, პარლამენტს არ მოეხსნა იმუნიტეტი და საქმე სასამართლომდე არ მისულიყო.

— პროცესებმა შეიძლება ქუჩაში გადაინაცვლოს და უმართავი გახდეს?

— ქვეყნის, ხალხის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მგონია მაინც ყველაზე სახიფათო ნებისმიერი ხელისუფლებისთვის. მოსახლეობაზე იმდენად დიდია წნეხი, არა მხოლოდ ეკონომიკური კუთხით, არამედ პანდემიის შედეგები იმდენად რთულია, რომ დღეს ადამიანებს მასობრივი საპროტესტო აქციების თავიც არ აქვთ, მაგრამ როგორც კი ეპიდემია შენელდება, არავინ იცის, ეს შეკუმშული ენერგია სად ამოხეთქავს.

სიმართლე გითხრათ, მელიას საკითხი არ იქნება პროცესების დეტონატორი. პროცესების დეტონატორი ადამიანების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა იქნება. ეს იქნება ხელისუფლებისთვის სერიოზული პრობლემა და თან ამას დამატებული ერთპარტიული პარლამენტი, რომელიც საშინელებაა. პრობლემა აქვს ერთი მხრივ ხელისუფლებას და პრობლემა აქვს თავად ოპოზიციას.

ნიკა მელიას ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს თუ არ მოჰყვა ძლიერი პოლიტიკური აქტიურობა ოპოზიციის მხრიდან და თუ რაღაც შედეგი არ დადო, მაშინ ეს იქნება ოპოზიციისადმი შემცირებული მხარდაჭერის საერთოდ განულება. ამიტომ, პროცესი, რომელიც ახლა მიდის, ორივე მხარეს აზიანებს. აზიანებს როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას, როგორც არ უნდა უცნაურად მოეჩვენოს ვინმეს, ეს ასეა. ამ ყველაფერს კი ქვეყნისთვის ცუდ შედეგებამდე მივყავართ. თუ ოპოზიცია ხალხში ნდობას დაკარგავს და მართლაც ჩამოვა იმ ნიშნულამდე, რაც ცოტა ხნის წინ „ენდიაიმ“ გამოაქვეყნა, ეს ნიშნავს, რომ ერთპარტიული პარლამენტი კი არა, ერთპარტიული ქვეყანა გვექნება, რაც სრული კატასტროფაა.

ოპოზიცია თუ გააგრძელებს უშედეგო პროტესტს, მაშინ შეიძლება მივიღოთ დაახლოებით ისეთივე პოლიტიკური რეალობა, რომელიც 2011 წლის 26 მაისის დარბევის შემდეგ იყო ქვეყანაში. მაშინ ხალხში პროტესტი ძალიან დიდი იყო, ოპოზიციის რეიტინგი კი განულებული. მაშინ ივანიშვილს ამ მუხტისთვის მიმართულება რომ არ მიეცა, არავინ იცის, რაში გადაიზრდებოდა. დღეს, მართალია, პროტესტი იმ ნიშნულამდე არ არის, მაგრამ ხვალ რა იქნება, არავინ იცის და არც არავინ არ ჩანს, რომ პროტესტს მიმართულება მისცეს. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ოპოზიციამ ნდობა, რეიტინგი შეინარჩუნოს და არ განულდეს.

გოგა ხაინდრავა: „გავრილოვი საქართველოში ელენე ხოშტარიამ ჩამოიყვანა“



2005 წლიდან. ნაცმოძრაობა ყოველთვის ატარებდა რუსეთის ინტერესებს საქართველოში. სააკაშვილი და ბიძამისი იყვნენ აქ რეზიდენტები — ისინი რუსეთის უშიშროების სამჭედლოში არიან გამოზრდილები, — ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „იმედის ფაქტორი“ კინორეჟისორმა, გოგა ხაინდრავამ განაცხადა.

— არაერთხელ მაქვს ნათქვამი, რომ ეს პროცესი მხოლოდ საქართველოში არ მიდის. რუსეთს დაპყრობილი აქვს სამი მეზობელი ქვეყნის ტერიტორია — ზუსტად ანალოგიურად მიმდინარეობს ყველაფერი იქაც. ერთი „გავრილოვია“ უკრაინაში, „კრებითი გავრილოვი“ გვყავს აქ, ფანჩატურში და ამას ვამბობ 2005 წლიდან.

ნაცმოძრაობა ყოველთვის ატარებდა რუსეთის ინტერესებს საქართველოში. სააკაშვილი და ბიძამისი იყვნენ აქ რეზიდენტები — ისინი რუსეთის უშიშროების სამჭედლოში არიან გამოზრდილები. იქვე არის გამოზრდილი ელენე ხოშტარია, რომელმაც ჩამოიყვანა გავრილოვი საქართველოში. მთელი ამბავი, რომელიც მოხდა მაშინ, მისი მონაწილეობით იყო.

ძნელად წარმომიდგენია, რომ როდესაც 1980-იანი წლების ბოლოს საბჭოთა დიპლომატიის სასწავლებლად მიდიხარ მოსკოვში, ის და გრიგოლ ვაშაძე, ხოლო დანარჩენები — სააკაშვილი, ბეჟუაშვილი და ვარშალომიძე წავიდნენ კიევში, იმავე სასწავლებელში. მეტსაც გეტყვით, მეორე კურსიდან რომ გააგდეს, უშიშროების ჯარში მსახურობდა და ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ფიცს როგორ კითხულობს, — განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ხელისუფლება გააკეთებს ყველაფერს, რაც გაუვა“

თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილი ჩრდილში გადავიდა საქართველოსთვის უმძიმეს დროს“

მარიამ მჭედლიშვილი

ყოფილი დისიდენტი და დეპუტატი თამარ ჩხეიძე მიიჩნევს, რომ ნიკა მელიას ირგვლივ დაწყებული მოქმედებები განპირობებულია იმით, რომ იგი მთავარი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარეა. აშკარაა მისი პოლიტიკური დევნა, რომელიც, მისი ვარაუდით, პოლიტიკიდან ოფიციალურად წასული ბიძინა ივანიშვილის გარეშე არ დაიწყებოდა. მისივე აზრით, პარლამენტის ბოიკოტი ოპოზიციის მხრიდან შედგა. „ახალი თაობა“ თამარ ჩხეიძეს ესაუბრა. შეგახსენებთ, რომ პარლამენტმა შეუჩერა სადეპუტატო იმუნიტეტი ნიკა მელიას, რითიც გზა გაუხსნა მის დაკავებას.

თამარ ჩხეიძე:

– იმაზე, რასაც ნიკა მელიას უკეთებენ, ბანალური კომენტარი მაქვს. ეს არის აშკარა უკანონობა და პოლიტიკური დევნა. ნიკა მელია უდანაშაულოა. მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის დანაშაული. არანაირი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების დროს არ ყოფილა. მაშინ სამართლიანად აღშფოთებული ხალხი გამოვიდა ქუჩაში და ვერ აიტანა ის, რომ სახელმწიფო დუმის დეპუტატი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდა. ნიკა მელიას ძალადობა და ძალადობის ორგანიზება არ ჩაუდენია. ახლა ნიკანორ მელიას საქმეც გაახსენდათ, ნიკა გვარამიასიც და სხვებისაც. ხელისუფლება გააკეთებს ყველაფერს, რაც გაუვა.

– შეიძლება ვერც გაუვიდეს?

– თუკი ხალხი გამოხატავს პროტესტს, რასაკვირველია, ყველაფერი არ გაუვა. ასეთი ავტორიტარული რეჟიმებისთვის მნიშვნელოვანია არა სიმართლე და სამართალი, არამედ, ხალხის რაოდენობა. ამიტომ საზოგადოების რაოდენობას ეძლევა მნიშვნელობა. ნიკა მელიას შემთხვევა ძალიან ხმაურიანია. ის არის მთავარი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე და მის წინააღმდეგ აშკარა პოლიტიკური დევნაა. „ქართულმა ოცნებამ“ მასობრივად გააყალბა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები. სინამდვილეში, გაიმარჯვა ოპოზიციამ. ხელისუფლებამ გამარჯვება მიიტაცა და ახლა გადავიდა პოლიტიკურ დევნაზე.

– 2020 წლის არჩევნებამდეც გისაუბრიათ პოლიტიკურ დევნაზე.

– დიახ. ეს ამ წუთას არ დაწყებულა. ამჟამად პოლიტიკური დევნა-შევიწროება უფრო რელიეფური გახდა. ნიშანდობლივი იყო ამაზე გავრილოვის კომენტარი. ეტყობა, გავრილოვი დიდი გონიერებითაც არ გამოირჩევა. მან საქართველოს ხელისუფლებას ნიკა მელიას წინააღმდეგ დაწყებული ქმედებები შეუქო. მან თქვა ის, რასაც საქართველოს ხელისუფლება ამბობს.

– „გავრილოვის ღამეს“ ამა თუ იმ ფორმით უკავშირდებიან ახლანდელი პრემიერი, ასევე, „ქართული ოცნების“ ამჟამინდელი თავმჯდომარე.

– დიახ. გიორგი გახარია 2019 წელს შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და მაშინდელი დარბევა და თვალების დათხრა მის კისერზეა. გიორგი კობახიძე იმ დროს პარლამენტის თავმჯდომარე იყო და ის პასუხისმგებელია გავრილოვის ვიზიტზე საქართველოში. გახარია ვერ იტყვის, რომ თვალების დათხრა და მოქალაქეების დასისხლიანება ვიღაცის გადაცდომაა. თუ ასე ფიქრობდა, მაშინ უნდა მოეხდინა რეაგირება, როცა მოქალაქეების მიმართ ანგარიშსწორების კადრები პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. გახარიას გადადგომის მოთხოვნით ბევრი აქცია გაიმართა. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით ის დააწინაურეს და პრემიერად დანიშნეს. კობახიძე პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგა, თუმცა მას შემდეგ, რაც ხალხს თვალები დათხარეს. მანამდე ამას არ აპირებდა. ახლა ის მმართველი პარტიის თავმჯდომარეა. ამ ორი პირის ისტორიაც მოწმობს, რომ ხელისუფლება გავრილოვის თანამოაზრეა. იმ ღამეს არავინ აპირებდა სახელმწიფო გადატრიალებას. იყო შეხლა-შემოხლა.

– ახლანდელი მოვლენები ვითარდება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ.

– ბიძინა ივანიშვილმა გაიწია, ის ჩრდილში დადგა. მან დაიკავა უფრო კომფორტული პოზიცია. მომავალში, თუ გამოუვა, ის დაუბრუნდება თავის ადრინდელ მდგომარეობას. თუ არ გამოუვა, ჩრდილიდან გაქცევა უფრო ადვილი იქნება. იმას, რაც ხდება, ივანიშვილის გარეშე არ წამოიწყებდნენ. ალბათ, „ოცნებას“ უთხრა, ესა და ის ვერ მოვასწარი, ამას მიმიხედეთო. შავი საქმეები უფრო ინტენსიურად კეთდება. ივანიშვილი ჩრდილში გადავიდა საქართველოსთვის უმძიმეს დროს. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ურთულესია. ყოველთვის ვაპროტესტებდი მკაცრ შეზღუდვებს, რომლებმაც სულ ჩაკლა საქართველოს ისედაც სუსტი ეკონომიკა.

– პარლამენტის მდგომარეობაზე რას იტყვით?

– სამწუხაროდ, არ არის გამორიცხული, პარლამენტის ბოიკოტი დაარღვიოს „გირჩმა“. რესპუბლიკელებიდან ერთმა – თამარ კორძაიამ საკონსტიტუციო სასამართლოში იჩივლა იმის გამო, რომ მას სადეპუტატო უფლებამოსილებას არ უჩერებენ. რესპუბლიკელებიდან ის მაინც არ შევა პარლამენტში. თითო-ოროლა კაცი რომ შევიდეს ოპოზიციიდან, ეს არაფერია – ბოიკოტი მაინც გამოვიდა. პარლამენტში არშესვლა გაყალბებული არჩევნების გასაპროტესტებლად ძალიან ეფექტურია. ახლა ხელისუფლება მძიმე დღეშია – თითოეულ ოპოზიციონერთან მუშაობს, ოპოზიციას მანდატებს არ უუქმებს. ჩემი აზრით, ივანიშვილის ღია პოლიტიკიდან გასვლის ერთ-ერთი ფაქტორი ეს ბოიკოტი გახდა.

– მთავარ ფაქტორად ვაშინგტონის წინაშე აღებული ვალდებულება სახელდება.

– დიახ. სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართაც იღებენ ზომებს პროპუტინისტური განწყობების გამო.

– როგორ გგონიათ, აშშ-ის ახლანდელი ადმინისტრაცია მოახერხებს საქართველოში რუსეთის გავლენის შესუსტებას?

– ალბათ, აშშ უფრო გააქტიურდება. საქართველო და რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ რამდენჯერმე ახსენეს. ეს დადებითია. პირადად მე არც ტრამპის და მისი გუნდის მიმართ დამრჩა ნეგატიური დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე ტრამპის კონკურენტის – კლინტონის მომხრე ვიყავი. ტრამპი არ მომეწონა პროპუტინისტური განცხადებების გამო. ამგვარი განცხადებები შან პრეზიდენტობის დროსაც გააკეთა. მთლიანობაში, მისი მმართველობის დროს აშშ-ს არ დაურღვევია არაღიარების პოლიტიკა. პირიქით, ვაშინგტონი ყოველთვის ხაზგასმულად უჭერდა მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და გმობდა ოკუპაციას. ტრამპს ჰქონდა წარმატებები ეკონომიკურ სფეროშიც. ჩვენი სურვილია, რომ აშშ საქართველოს მიმართ უფრო გააქტიურდეს. ალბათ, ასეც მოხდება.

„ეკონომიკა თავიდან ბოლომდე უნდა გაიხსნას“

პაატა შეშელიძე: „ხელისუფლება არასწორი გადაწყვეტილებებით აფერხებს ბუნებრივ პროცესებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, თავისუფალი ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელი პაატა შეშელიძე პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას. თქვენთვისაც ცნობილია რამდენა ზარალი მოჰყვა პანდემიურ ჩაკეტვებს. რეგულაციების გამარტივება ნელ-ნელა დაიწყო, თუმცა სიტუაცია საკმაოდ მძიმეა. რას იტყვით თქვენ?

– მე ვფიქრობ, რომ დღევანდელი სიტუაცია საკმაოდ საგანგაშოა, მაგრამ უიმედო ნამდვილად არ არის. მთავარია სწრაფი გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული. თუმცა ეს სწრაფი გადაწყვეტილებები საჭიროებს განსხვავებულ ხედვას, რაც მე, სამწუხაროდ, ამ მთავრობის მხრიდან ვერ დავინახე. რაც ითქვა ამ ბოლო პერიოდში, არის ის, რომ თითქოს წარმატებას მიაღწიეს, თითქოს ყველაფერი შედარებით უკეთესად არის და ამისთვის ფიჩის რეიტინგი მოიხმარეს, თითქოს და შეგვინარჩუნეს მდგომარეობაო.

– რეალურად ასე არ არის?

– არა და თუ ნახავთ ფიჩის უშუალო კვლევას, აღმოაჩენთ, რომ შარშანდელი აპრილის მერე არის ჩამოქვეითებული და სწორედ ამ ნეგატივით არის შენარჩუნებული. ეს არის და ეს. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ ჩვენ გვაქვს ყველაფერი კარგად. კიდევ რა იყო ნათქვამი? ის, რომ პრივატიზაცია იქნებოდა გამოყენებული ეკონომიკის გააქტიურებისთვის, მაგრამ აქაც არის გაურკვევლობა. ამაზე სულ არის ლაპარაკი, მაგრამ ნაბიჯები ინერტულად იდგმება. თან, ამ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ აკეთებ ამ პრივატიზებას. როდესაც უამრავი ადამიანი გაღატაკებულია, არანაირი საშუალება არა აქვს, ცხადია, რომ პრივატიზებისგან ხეირს ნახავს ძალიან ვიწრო ჯგუფი ადამიანების, თუ ის ისევ ძველი ფორმებით ჩატარდა. ამიტომ შესაძლოა ისევ იმ ჯგუფმა მიიღოს ეს სიკეთეები, ვინც აქამდეც იღებდა.

– სულ არის შეფასებები, რომ არსებობს ვიწრო პრივილეგირებული ჯგუფი და ყველა ე.წ. სიკეთე, რაც ამ ქვეყანაში ხდება, მათ ხელშია. მათთვის ყველაფერი ნებადართულია. სამშენებლო ბიზნესიც სულ რამდენიმე ადამიანის ხელშიაო.

– ინტერესთა თანხვედრის გამო, შესაძლოა, ეს არ იყოს ძალიან ვიწრო ჯგუფი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს პროცესი არ არის გამჭვირვალე და ყოველთვის არის მორგებული პოლიტიკურ ინტერესებთან. ეს მთავრობა იქნება, წინა თუ იმის წინა, ყოველთვის ირგებენ საკუთარ ინტერესებზე.

– გამოსავალი ამ სიტუაციიდან?

– გამოსავალზე რომ ვისაუბროთ, პირველი და უმთავრესი ეს არის ეკონომიკის გახსნა. ამას ალტერნატივა არა აქვს. ჩვენ არა გვაქვს იმის ფუფუნება, რომ სახლში ვისხდეთ და არხეინად ვიყოთ. ამიტომ ეკონომიკა თავიდან ბოლომდე უნდა გაიხსნას და აქცენტი გაკეთდეს იმაზე, რომ ადამიანებმა მიხედონ თავის თავს.

– ძალიან მძიმე დღეშია სარესტორნო ბიზნესი. ყოველდღე ვისმენთ მათ მიმართვებს ხელისუფლების მისამართით, რომ მისცენ მუშაობის საშუალება.

– მე რამდენჯერმე ვიყავი მათ აქციაზე მხარდასაჭერად. უბრალოდ მინდოდა მათთვის თანადგომა გამომეხატა. მე ვფიქრობ, რომ მათი გულისტკივილი სამართლიანია. რა თქმა უნდა, მათაც ესმით ძალიან კარგად, რომ თავიც უნდა დაიცვან და მომხმარებელიც არ დააზარალონ. ამიტომ ამ უნარ-ჩვევების გამომუშავებას უნდა მოხმარებოდა წელი, რომელიც დაიკარგა. ხომ ყველა შევდივართ სუპერმარკეტებში? იქ ჩამოფარებული აქვთ დამცავი ფარები, იყენებენ ხელთათმანებს და იცავენ თავს. მე არც ერთი სუპერმარკეტი არ შემხვედრია, რომელიც დაეხურათ. ქსელური სუპერმარკეტები და პატარა მარკეტებიც მოერგნენ შექმნილ სიტუაციას და ამის გამო არ გაჩერებულან.

– იქნებ რესტორნებიც მორგებოდნენ ამ სიტუაციას, მიეცათ საშუალება.

– ჰოდა, მეც მაგას ვამბობ. შეიძლება რესტორნებიც ანალოგიურად მორგებოდნენ და უფრო მეტად, მომხმარებელზე ორიენტირებულად გადაეწყვიტათ თავისი პრობლემა. გვერდი-გვერდ არის მაღაზია და რესტორანი, მაღაზია მუშაობს, რესტორანი დაკეტილია. მით უმეტეს, მარკეტებში ნაკადი ბევრად უფრო დიდია. შესაძლოა ქორწილები, ნათლობები და დიდი სუფრები შეეზღუდათ, მაგრამ სულ დაკეტვა არასწორი გადაწყვეტილებაა. მიეცათ მუშაობის საშუალება და თვითონ მოერგებოდნენ არსებულ სიტუაციას. შესაძლოა ზოგს თავად მიეღო დახურვის გადაწყვეტილება, აღმოეჩინა, რომ ეს მისთვის ძალიან დიდი ტვირთია და წამგებიანი. ან სულაც პროფილი შეეცვალა.

– რა კუთხით?

– მაგალითად, მე არაერთხელ ვურჩიე რესტორნების მეპატრონეებს, როცა მეკითხებოდნენ სიტუაციიდან გამოსავალზე, რომ მზა პროდუქტების მაღაზიებად გადაკეთებულიყვნენ, თუნდაც დროებით. გატანის სერვისი ხომ აქვთ და ამის პარალელურად მზა პროდუქტებზე ემუშავათ, მაგალითად, ხინკალი, ქაბაბი და ბევრ სხვადასხვა კერძზე შეიძლებოდა ამის გაკეთება. ნახევარფაბრიკატებად მოამზადებენ, მივა ადამიანი და იყიდის. შედარებით იაფად, ვიდრე რესტორანში იქეიფებდა, მაგრამ იგივე ხარისხისას. ესეც გარკვეულწილად შეღავათი იქნებოდა. რაღაც გამოსავალი ხომ უნდა ეძებო ამ ვითარებაში? მაგრამ რომ ეძებო, მუშაობის საშუალება უნდა გქონდეს. თუ მუშაობის საშუალება არ გაქვს, როგორ უნდა მოძებნო გამოსავალი?!

– მოსახლეობასაც ძალიან გაუჭირდა. დიდი აჟიოტაჟია ატეხილი გერმანიაში სამუშაოდ წასვლის თაობაზე. ერთ დღეში 52 ათასზე მეტი ადამიანი დარეგისტრირდაო.

– მსურველები ისედაც იქნებოდნენ, თან ძალიან ბევრი, რადგან ლეგალურ დასაქმებაზეა საუბარი. ალბათ ბევრი მათგანი იქ დარჩენაზე უფრო ფიქრობს. რადგან ლეგალური დასაქმებაა, ბევრმა უნდა დააფასოს ეს შესაძლებლობები, რომ ჩამოვიდეს და მერე კიდევ გამოიყენოს წასვლის საშუალება. ხალხი, რომელიც თურქეთში არ თაკილობს წასვლას და იქ მუშაობს, გერმანიაში, ცხადია, მეტი მსურველი გამოჩნდებოდა. ეს ხალხს ცოტა ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს. როგორც ვიცი, არაა ცუდი პირობები და შემოთავაზება.

– დღეს რამდენად მძიმე სიტუაციაში ვართ და თუ ხედავთ გამოსავალს?

– მე არ მინდა დავძაბო ისედაც რთული სიტუაცია. რა თქმა უნდა, გამოსავალი არის, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ გადაწყვეტილებების მიმღებ გონებას ვერ ვხედავ. აი ასეთ სიტუაციაში ვართ და მთელი დღე მედია ნიკა მელიას დაჭერა-არდაჭერაზე ლაპარაკობს და კიდევ ცეცხლზე ნავთს ასხამენ. ამ დროს რეალური პრობლემები გვერდზე რჩება და ამაზე სერიოზული საუბარი და განხილვები არ მიდის. ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან არის გამოსაყვანი და მხოლოდ ის გვესმის ყველა მხრიდან – მელის დაიჭერენ თუ არა დაიჭერენ!

– ხელისუფლებასაც ხომ არ აწყობს სხვა მიმართულებით გადაიტანოს საზოგადოების ყურადღება?

– რა თქმა უნდა, აწყობს. სხვა შემთხვევაში, ის ჯგუფი, რომელიც ამ სიტუაციით სარგებლობს, ვერ ისარგებლებს ისეთი მასშტაბით, როგორც ახლა სარგებლობს. აი ისეთი მოწყობაა, მხოლოდ ერთი ჯგუფი სარგებლობს პრივილეგიებით, იმდენად კორუმპირებულია ხელისუფლება, რომ ამისი ხელიდან გაშვება არ უნდა. დღეს ეკონომიკის სრულად გახსნა არის გარდაუვალი ამოცანა. სხვანაირად ამ სირთულეებს თავს ვერ დავაღწევთ. თუ ამას ახლა არ გავაკეთებთ, ზაფხულში გვიანი იქნება. სწორედ ახლა უნდა დაიგეგმოს ზაფხული.

– ყველაზე მეტად დაზარალდა ტურისტული ბიზნესი.

– ვიცით, რომ ტურისტული ბიზნესი ყველაზე მეტად დაზარალდა. თუ ახლა არ გათავისუფლდა და არ იქნა მყარი გარანტიები, ეს პრობლემები გაგრძელდება. ყველა გეგმა ახლა უნდა გაიწეროს. დღეს მონეტარული რეფორმა არის გარდაუვალი და, ჩემი აზრით, პირველი მნიშვნელობის საკითხი. სამწუხაროდ, ამაზე საუბარი საერთოდ არ მიდის. არსებული მოდელი ჰგონიათ კარგი. მე ვხედავ, რატომაც ჰგონიათ კარგი, იმიტომ, რომ ისინი ამაში გამორჩენას ხედავენ. რიგითი ადამიანებისთვის კი, ეს არის ძალიან ცუდი მოდელი და ამისი გადახედვა არის მნიშვნელოვანი. პრივატიზებაზე საუბრობენ, ზემოთაც აღვნიშნე, პრივატიზების ამ ფორმით შემოთავაზება არის ცუდი. ისევ ის ხალხი მიიღებს მასში მონაწილეობას, ვისაც არაკეთილსინდისიერი გზით ისედაც ბევრი შემოსავალი აქვს. არასწორ გადაწყვეტილებებს ღებულობს ხელისუფლება და ამ არასწორი გადაწყვეტილებებით აფერხებენ ბუნებრივ პროცესებს. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ისინი ინტელექტუალურად მზად არ არიან რადიკალური შემობრუნებისთვის. პერსონალურად არავის ვერჩი. ვერჩი იმას, რაც გაკეთებულია და ისინი ამ ყველაფერს არასწორად აკეთებენ.

25 წლის ყოფილი პოლიციელი 18 წლის გოგონაზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააკავეს

რუსთავში, სექსუალური ხასიათის ქმედების ბრალდებით, რომელიც ძალადობით, ძალადობის მუქარით, ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებითაა ჩადენილი, ყოფილი სამართალდამცველი დააკავეს.

25 წლის მამაკაცს რუსთავის საქალაქო სასამართლომ, აღკვეთი ღონისძიების სახით, 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

როგორც 18 წლის გოგონას ადვოკატმა ანი კეკენაძემ „ინფო რუსთავს" განუცხადა, მამაკაცი მხოლოდ მას შემდეგ დააკავეს, რაც ფაქტი მედიაში გაჟღერდა.

– 11 იანვრის შემდეგ გრძელდება ეს ამბავი, ამდენი ხნის განმავლობაში არ მოხდა არც გოგონას დაზარალებულად ცნობა, არც ბრალდებულის დაკავება. ახლა დაჩქარებული წესით მისი დაკავება, სავარაუდოდ, მედიაში ამბის გავრცელებამ გამოიწვია და ჩვენმა აქტიურობამაც ალბათ გამოიღო შედეგი. ჯერჯერობით ექსპერტიზის პასუხს ელოდებიან, თუმცა დასაბუთებული ვარაუდით მისი დაკავება მაინც მოხდა. ჩვენთვის ეს იყო მნიშვნელოვანი, რომ მომხდარიყო მის მიმართ მინიმუმ გამოძიების დაწყება, იმიტომ, რომ საფრთხეებს ვხედავდით, – განაცხადა ანი კეკენაძემ.

რუსთაველი 18 წლის გოგონა და მისი ოჯახი აცხადებენ, რომ გოგონაზე პოლიციის თანამშრომელმა სექსუალურად იძალადა. როგორც დაზარალებულის დედა ყვება, მომხდარის გამო გოგონამ თვითმკვლელობაც სცადა.

წაყენებულ ბრალს არ აღიარებს ყოფილი სამართალდამცველი. ბრალდებულის ადვოკატი, შოთა გელაშვილი „ინფო რუსთავთან" აცხადებს, რომ დაცვის მხარე გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

მისივე ინფორმაციით, მამაკაცი ამბობს, რომ ადგილი აქვს პროვოკაციას.

სოლომონ ცეცხლაძეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

ქობულეთში, 14 წლის ბავშვის გარდაცვალების საქმეზე დაკავებული ბაბუა სოლომონ ცეცხლაძე მოსამართლე ვიოლეტა ფორჩხიძემ პატიმრობაში დატოვა.

როგორც მოსამართლემ განაცხადა, პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რადგან ბრალდებულის მხრიდან მტკიცებულებების განადგურებისა და მიმალვის საფრთხე არსებობს.

დაცვის მხარე სასამართლოს აღკვეთი ღონისძიების სახით 10-ათას ლარიან გირაოს სთავაზობდა, რომელიც მოსამართლემ არ გაითვალისწინა.

76 წლის სოლომონ ცეცხლაძეს 14 წლის ბავშვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გამოძიება სამ ეპიზოდს ედავება. თავის მხრივ, დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალდება დაუსაბუთებელია და ბრალდებული სოლომონ ცეცხლაძე მხოლოდ ერთ ეპიზოდს აღიარებს.

წინასასამართლო სხდომა 6 აპრილს, 14:00 საათზე ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაიმართება.

ამასთან, 14 წლის გოგოს გარდაცვალების საქმეზე დაკავებულია 23 წლის ნიკა ტაკიძე. მას გამოძიება სექსუალურ ძალადობასა და თვითმკვლელობამდე მიყვანას ედავება.

საქმეზე გამოძიება გრძელდება.

„ბირჟა მაფიას" წევრს, გიორგი ქებურიას, პროკურატურა 36.815 ლარს გადაუხდის

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს გენერალურ პროკურატურას „ბირჟა მაფიის" საქმეზე გიორგი ქებურიას უკანონო დაკავების, უკანონო პატიმრობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გამო მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით 36.815 ლარის გადახდა დაეკისრა.

საქმეზე გიორგი ქებურიას ინტერესებს საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა წარმოადგენდა.

ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა ავრცელებს, რომელიც აღნიშნულ საქმეზე ქებურიას ინტერესებს იცავდა.

„ბირჟა მაფიის" წევრები 2017 წლის 7 ივნისს ნარკოტიკული დანაშაულის ბრალდებით დააკავეს. გიორგი ქებურიას პროკურატურა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენას ედავებოდა. 2017 წლის 9 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი ქებურიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა, რაც მალევე სააპელაციო სასამართლომ 20.000 ლარიანი გირაოთი შეცვალა.

საგულისხმოა, რომ გიორგი ქებურიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა 2017 წლის 15 დეკემბერს პროკურორის დადგენილების საფუძველზე შეწყდა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ გიორგი ქებურიას ქმედებაში ბრალდების სახით წარდგენილი დანაშაულის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ნიშნები არ არსებობდა. პროკურატურის ამ დადგენილებას წინ უსწრებდა იმდროინდელი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა, მათ შორის, მინისტრების განცხადებები, რომლებიც „ბირჟა მაფიას" შემოქმედებას სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აფასებდნენ" – ნათქვამია განცხადებაში.

საქმის კონტექსტის, წარდგენილი ბრალდების სიმძიმისა და იმ უარყოფითი გავლენის გათვალისწინებით, რომელიც გიორგი ქებურიას უკანონო დაკავებით, პატიმრობითა და მის წინააღმდეგ წარმოებულ უკანონო სისხლისსამართლებრივ დევნით მიადგა, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაითვალისწინა მოსარჩელე მხარის არგუმენტაცია და როგორც მორალური, ასევე მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა.

აღსანიშნავია, რომ „ბირჟა მაფიას" მაშინ მხარი ბერა ივანიშვილმა დაუჭირა, რომელმაც დაკავებული მუსიკოსების გათავისუფლება მოითხოვა.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 512 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 512 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 68 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 444 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

პოლიციამ „კვირას" ჟურნალისტებისთვის ხელის შეშლის ბრალდებით 2 პირი დააკავა

სამართალდამცავებმა ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ბრალდებით ორი პირი დააკავეს.

დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ჭიათურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი: 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.ა. და 1991 წელს დაბადებული გ.ნ. დააკავეს. მათ ბრალად ედებათ ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობის მუქარით. დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 15 თებერვალს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთში, შპს „მედიაჰოლდინგი კვირას" ქუთაისის ბიუროს ჟურნალისტსა და ოპერატორს პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ შეუშალეს ხელი, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და მიიმალნენ. პოლიციამ რ.ა. და გ.ნ. მომხდარიდან რამდენიმე საათში ბრალდებულების სახით დააკავა. ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს" – ნათქვამია ინფორმაციაში.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის პროექტის დასრულების შესახებ ვიდეოკონფერენცია გაიმართა

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, კახაბერ საბანაძემ, მონაწილეობა მიიღო პროექტის – „საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის გაზრდა" – დახურვის ონლაინღონისძიებაში, რომელიც ვიდეოკონფერენციის ფორმატში გაიმართა.

შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ ნიდერლანდების სამეფოს ელჩი საქართველოში – მაიკე ვან კოლდამი და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (GCSD) წარმომადგენლები.

ვიდეოკონფერენციის მონაწილეებმა პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე იმსჯელეს და ხაზი გაუსვეს მართლწესრიგის ოფიცრების შესაძლებლობების გაძლიერებაში მათ მნიშვნელობას.

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, კახაბერ საბანაძემ, მადლობა გადაუხადა ნიდერლანდების სამეფოს ელჩს საქართველოში საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ინსტიტუტის გაძლიერებაში შეტანილი წვლილისთვის და სამომავლო თანამშრომლობის მზაობა გამოხატა.

აღნიშნული პროექტი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს დაფინანსებითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2018 წლიდან ხორციელდება. იგი მიზნად ისახავს მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის განვითარების ხელშეწყობას.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამის ღონისძიებებს განაგრძობს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, საგზაო დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონში, კონკრეტულ მონაკვეთებზე, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, როგორც თბილისში, ასევე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, გზებზე ავტოტრანსპორტის გადაადგილებას 24-საათიან რეჟიმში აკონტროლებენ.

ინტენსიური თოვის, ლიპყინულისა და ზვავსაშიშროების გამო, ავტოტრანსპორტის მოძრაობა გარკვეულად შეზღუდულია, კერძოდ:

● გოდერძის უღელტეხილზე მოძრაობა აკრძალულია ყველანაირი სატრანსპორტო საშუალებებისთვის. გადაადგილება ნებადართულია მხოლოდ კურორტამდე;

● ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის მონაკვეთზე გადაადგილება ნებადართულია მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის.

● გომი-საჩხერე, ჭიათურა-ზესტაფონის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 1-ელი კილომეტრიდან მე-40 კილომეტრამდე აკრძალულია მოძრაობა მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის.

● ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთი დაკეტილია მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი და 30-ადგილიანზე მეტი სატრანსპორტო საშუალებებისთვის.

● შიდა ქართლში, აგარასთან, საპატრულო პოლიციამ შეაჩერა სატვირთო ავტომობილები, რომლებიც რუსეთის მიმართულებით მოძრაობენ.

● ზვავსაშიშროების გამო, მლეთა-გუდაურიკობის მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. ასევე, აკრძალულია მოძრაობა სტეფანწმინდა-ლარსის მონაკვეთზეც.

● ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის მიმართულებით, ზვავსაშიშროების გამო, ყველა სახის ავტოტრანსპორტის გადაადგილება იზღუდება.

ამ დროისთვის გადაადგილების შეზღუდვა მოიხსნა ზოგიერთ რეგიონში:

● რიკოთის ტერიტორიაზე;

● თბილისის შემოვლით გზაზე;

● ნატახტარი-ხუნევის მონაკვეთზე მისაბმელიანი ტრანსპორტის მოძრაობა აღდგა.

ნაპოვნია 1 მამაკაცის ცხედარი ვარკეთილში კორპუსის 3 სართულს ცეცხლი გაუჩნდა

გუშინ, 17 თებერვალს, ვარკეთილში, შუამთის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსში ხანძარი გაჩნდა.

ხანძრის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა.

უწყების ცნობით, ცეცხლი ეკიდა მეექვსე სართულზე საცხოვრებელ ბინას, ასევე, მეხუთე და მეშვიდე სართულების აივნებს.

მოხდა კორპუსის ევაკუაცია. მეექვსე სართულზე ბინაში ნაპოვნია ერთი მამაკაცის ცხედარი. ხანძრის შედეგად სხვა დაშავებული არავინაა, ხანძრის ლიკვიდაცია მალე მოხერხდა.

ადგილზე სახანძრო-სამაშველო სამსახურის 9 ეკიპაჟი იყო მობილიზებული.

თამარაშვილზე მანქანას ხის ტოტი დაეცა

გუშინ, 17 თებერვალს, პირველმა თოვლმა დედაქალაქში, საცობების შექმნასთან ერთად, პრობლემები მძღოლებს სხვა მხრივაც შეუქმნა.

იმის მიუხედავად, რომ თოვლის საფარი მაღალი არ არის, თამარაშვილის ქუჩაზე დათოვლილი ხის ტოტი ჩამოტყდა და გაჩერებულ მანქანას დაეცა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, მანქანა დაზიანდა.

ინტენსიური თოვის, დაბალი ტემპერატურისა და ლიპყინულის გამო საავტომობილო გზებზე შეზღუდვები დაწესდა.

გერმანიაში კოვიდით ინფიცირებულთა 22% „ბრიტანულ“ ვარიანტზე მოდის

გერმანიაში კორონავირუსით ინფიცირების ახალი შემთხვევების 22% „ბრიტანულ“ ვარიანტზე, ბე 117-ზე, მოდის.

ამის შესახებ გერმანიის ჯანდაცვის მინისტრმა იენს შპანმა განაცხადა.

მისივე თქმით, ეს მაჩვენებელი 2 კვირის წინ 6%-ს შეადგენდა.

იენს შპანის განმარტებით, გერმანიამ უნდა დაუშვას ის, რომ აღნიშნული ვარიანტი მალე დომინანტური გახდება.

მინისტრმა რობერტ კოხის ინსტიტუტის მონაცემებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ „ბრიტანული ვარიანტით“ დაინფიცირების მაჩვენებელი ყოველ კვირაში ორმაგდება.

რაც შეეხება ვირუსის ე.წ. „სამხრეთ აფრიკულ ვარიანტს“, იენს შპანის ინფორმაციით, ის ქვეყანაში დაფიქსირებული შემთხვევების 1.5%-ის გამომწვევია.

გერმანიამ ცოტა ხნის წინ ლაბორატორიებს დაფინანსება გაუზარდა იმისთვის, რომ მთავრობამ ქვეყანაში კორონავირუსის ვარიანტების გავრცელების შესახებ უფრო სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოს.

ბაიდენი ვისკონსინის შტატში ჩავიდა

აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი ვისკონსინის შტატში ჩავიდა.

საპრეზიდენტო არჩევნებში ვისკონსინიმ ბაიდენის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ბაიდენმა განაცხადა, რომ პანდემიით დაზარალებული შტატებისთვის 1 ტრილიონი დოლარია გამოყოფილი. ამ თანხიდან ვისკონსინიც მიიღებს თავის წილს.

ნიგერიაში სკოლიდან მოსწავლეები და პედაგოგი გაიტაცეს

ნიგერიაში, ნიგერის შტატის კაგარას რაიონში მდებარე ერთ-ერთ საშუალო სკოლაში დაუდგენელი შეიარაღებული პირები შეიჭრნენ და ათობით მოსწავლე და მასწავლებელი გაიტაცეს.

სკოლაზე თავდასხმას ერთი მოსწავლის სიცოცხლე ემსხვერპლა.

სკოლის გატაცებული თანამშრომლებისა და მოსწავლეების ზუსტი რაოდენობა უცნობია. ორი თვის წინ კაცინას შტატის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე სკოლიდან შეიარაღებულმა პირებმა 350 მოსწავლე გაიტაცეს, რომლებიც მოგვიანებით უსაფრთხოების ძალებმა გადაარჩინეს.

ტრამპისა და ჯულიანის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს

კონგრესმენმა დემოკრატმა ტომპსონმა ტრამპისა და მისი ადვოკატის ჯულიანის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

– კაპიტოლიუმის შტურმი შემთხვევითი არ ყოფილა. ეს ტრამპი-ჯულიანის ჯოჯოხეთური გეგმის ნაწილი იყო. მიზანი აშშ-ში არსებული წყობილების ძალისმიერი გზით დამხობა გახლდათ, – ამტკიცებს ტომპსონი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალეიდოსკოპი

სერფერმა ზვიგენი ვერ შენიშნა და კინაღამ ზედ დაახტა



ავსტრალიაში დაბნეულმა სერფერმა მის უკან მცურავი ზვიგენი ვერ შენიშნა და შემთხვევით კინაღამ ზედ დაახტა.

ინციდენტი ქალაქ სიდნეის პლაჟზე მოხდა, რაც დრონზე დამაგრებულმა ვიდეოკამერამ დააფიქსირა, რომელიც ოკეანის თავზე დაფრინავდა. ჰაერიდან ჩანს, რომ სასრიალო დაფაზე მყოფ სერფერს კვალდაკვალ მიჰყვება ავსტრალიური ძიძა-ზვიგენი. მოულოდნელად მამაკაცი წყალში ხტება და პირდაპირ თევზს ზევიდან მოექცა. ამან მტაცებელი დააფრთხო და სასწრაფოდ გაეცალა. დრონის მფლობელის განცხადებით, ის შეშფოთებული იყო სერფერის გამო და შეშინდა, როდესაც მამაკაცი კინაღამ ზვიგენს დაეჯახა.

– კარგი იქნებოდა მასთან გასაუბრება, იმის გაგება, იცოდა, თუ არა, რომ მის ქვევით ზვიგენი იმყოფებოდა, – აღნიშნა მან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამმა ადამიანმა უკაცრიელ კუნძულზე 33 დღე გაატარა და თავი ვირთხების ჭამით გაჰქონდათ

ბაჰამის კუნძულებზე გადაარჩინეს ორი მამაკაცი და ერთი ქალი, რომლებიც იქ ნავის ჩაძირვის შედეგად აღმოჩნდნენ და დაუსახლებელ კუნძულზე 33 დღე გაატარეს.

აშშ-ის სანაპირო დაცვის შვეულმფრენის ეკიპაჟი ბაჰამის არქიპელაგის ანგლია-კის კუნძულების ჯგუფის გარშემო პატრულირებდა. მოულოდნელად მათ შენიშნეს მიწაზე ქვებისგან გაკეთებული ჯვარი და ადამიანები, რომლებიც დროშებს აფრიალებდნენ. ეკიპაჟმა მათ საკვები, წყალი და რადიომიმღები ჩაუგდო.

მეორე დღეს ორგანიზებულ იქნა სამაშველო ოპერაცია კუნძულზე მყოფი ადამიანების ევაკუაციის მიზნით. სამივე კუბის მოქალაქე გამოდგა. მათი თქმით, ისინი კუნძულზე დაახლოებით ხუთი კვირის წინ მოხვდნენ. მათი ნავი ქარიშხლის დროს გადაბრუნდა. მათ უახლოეს ნაპირამდე ცურვით მიაღწიეს. სიცოცხლის შესანარჩუნებლად ისინი ამ დროის განმავლობაში ქოქოსით, მოლუსკებითა და ვირთხებით იკვებებოდნენ.

სანაპირო დაცვის ოფიცრის აზრით, ისინი ან არალეგალური ემიგრანტები არიან, ან გზააბნეული მეთევზეები.

კუბელები შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ გაუწყლოება და ფიზიკური გამოფიტვა ჰქონდათ, თუმცა, სანაპირო დაცვის წარმომადგენლის განცხადების თანახმად, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები არ აქვთ.

ლომმა მარტორქების მცველი მეტყევე იმსხვერპლა

სამხრეთ აფრიკის პილანესბერგის ეროვნულ საფარი-პარკში მშიერმა ლომმა დაგლიჯა მეტყევე, რომელიც მარტორქებს ბრაკონიერებისგან იცავდა.

46 წლის კობუს მარე პარკში ორ კოლეგასა და ძაღლ ჰეილისთან ერთად პატრულირებდა. ისინი მანქანით გადაადგილდებოდნენ და ვერ შენიშნეს, თუ როგორ დაესხა თავს გაოფთრებული ლომი მათ ზურგს უკან მიმავალ მარეს. ეს მხოლოდ მას შემდეგ შენიშნეს, როდესაც მან დაიყვირა და დახმარება ითხოვა.

მათ მტაცებელი მოკლეს, მაგრამ მარეს გადარჩენა ვეღარ შეძლეს. ის ადგილზევე დაიღუპა ლომის მიერ მიყენებული დაზიანებებისგან. ამ ინციდენტის დროს მისი ძაღლი არ დაშავებულა.

მოკლული ლომი ქალაქ პრეტორიაში ვეტერინარულ საავადმყოფოში გადააგზავნეს გასაკვეთად. სპეციალისტები შეეცდებიან მისი აგრესიული ქცევის მიზეზის დადგენას.

ორმა მენაგვემ გატაცებული 10 წლის გოგონა გადაარჩინა

ამერიკის ლუიზიანის შტატის ქალაქ ნიუ-აიბერიში ორმა მენაგვემ გატაცებული გოგონა გადაარჩინა.

ათი წლის გოგონა მისი მშობლების სახლიდან ორშაბათს გაიტაცეს. ქალაქის ყველა პოლიციელი ეძებდა ნაცრისფერ 2012 წლის გამოშვების ავტომობილ ნისან ალტიმას, რომლითაც ბოროტმოქმედებმა პატარა გოგონა წაიყვანეს.

ორმა მენაგვემ, დიონ მერიკმა და ბრენდონ ანტუანმა, რომლებიც თავიანთ ჩვეულ მარშრუტზე იმყოფებოდნენ, საეჭვო ნაცრისფერი ავტომობილი შენიშნა, რომელიც ხეებით შემოფარგლულ პატარა მდელოზე იყო გაჩერებული. მათ თავიანთი ნაგვის მანქანა ისე გააჩერეს, რომ მდელოდან გზაზე გამოსასვლელი ერთადერთი სამანქანო გზა გადაკეტეს და პოლიციაში დარეკეს.

ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა გოგონა გაათავისუფლეს და მის მხსნელებს მადლობა გადაუხადეს. ამის შემდეგ ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პოლიციამ დააკავა ბოროტმოქმედი, რომელიც გატაცებული გოგონას ერთ-ერთი ნათესავის ნაცნობი, 33 წლის მაიკლ სერევალი აღმოჩნდა. ის გირაოთი გათავისუფლების უფლების გარეშე იმყოფება საპატიმროში. ცნობილი გახდა, რომ სერევალი შესულია იმ დამნაშავეების მონაცემთა ბაზაში, რომლებიც არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობისკენ არიან მიდრეკილნი.

დაკარგული მეთევზის სხეულის ნაწილები ნიანგის კუჭში აღმოაჩინეს

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ თაუნსვილის მკვიდრი მეთევზის სხეულის ნარჩენები უზარმაზარი ნიანგის კუჭში აღმოაჩინეს.

69 წლის ენდრიუ ჰერდი 11 თებერვალს გაემგზავრა ნავით კუნძულ ჰინჩაინბრუკზე. მოგვიანებით მისმა მეუღლემ პოლიციას შეატყობინა, რომ ის იახტაზე აღარ დაბრუნებულა და არც კავშირზე გამოდიოდა.

მაშველებმა ჰერდის ნავი მეორე დღეს გადაბრუნებული და დაზიანებული აღმოაჩინეს. პოლიციის ექსპერტებმა საგულდაგულო დათვალიერების შემდეგ დაასკვნეს, რომ ნავი ნიანგის მიერ იყო დაზიანებული.

იმავე დღეს, საღამოს, ბუნების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ადამიანის სხეულის ნაწილებს მიაგნეს. მეორე დღეს კი ნავის აღმოჩენის ადგილის შორიახლოს უზარმაზარი ნიანგი შენიშნეს. მისი სიგრძე 4,2 მეტრს შეადგენდა.

ცხოველი დაიჭირეს და დააძინეს, მისი გაკვეთის შემდეგ კი ნიანგის კუჭში ადამიანის სხეულის ნაწილები აღმოაჩინეს, რომლებიც დიდი ალბათობით სწორედ ჰერდის იყო.

მამაკაცმა მეგობარ გოგონას ნიშნობის ბეჭედი მოჰპარა და ხელი სხვა გოგონას სთხოვა

აშშ-ის მკვიდრმა თავის მეგობარ გოგონას ნიშნობის ბეჭედი მოჰპარა, რათა შემდეგ ხელი სხვა გოგონასთვის ეთხოვა. ამ დროისთვის 48 წლის მამაკაცს პოლიცია ეძებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცი სახელად ჯოზეფ დევისი თავს ჯო ბრაუნად ან მარკუს ბრაუნად ასაღებდა. ის ერთდროულად ორ გოგონას ხვდებოდა, რომლებიც ფლორიდის შტატის სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობდნენ.

მამაკაცის „შეყვარებული“ ქალაქ ორანჟ-სიტიდან მაშინ მიხვდა, რომ ბოიფრენდი ატყუებდა, როდესაც ნიშნობის ბეჭედი დაკარგა და ფეისბუქში მისი საცოლის ფოტოსურათი ნახა. პოლიციაში განმარტეს, რომ გოგონამ თავისი ბეჭედი სხვა ქალის თითზე დაინახა და მაშინვე გაახსენდა, რომ მისი სამკაული ზარდახშაში უნდა ჰქონოდა შენახული.

ამის შემდეგ გამოვლინდა დევისის ნასამართლეობის სია. ის იყო დაპატიმრებული ყალბი საბუთების, ოჯახური ძალადობის და ნარკოტიკების გასაღებისთვის.

მამაკაცმა კოვიდ-19-ით დაავადებულის ნერწყვი შეიძინა და თავის უფროსს ჩაიში ურევდა

თურქეთში ავტოსალონის თანამშრომელმა კოვიდ-19-ით დაავადებულის ნერწყვი იყიდა და თავის უფროსს ჩაიში ურევდა. ამის გამო მას სასამართლოს წინაშე მოწევს წარდგომა.

ავტოსალონის მფლობელმა იბრაჰიმ უნვერდიმ თანამშრომელს 215 ათასი თურქული ლირა გადასცა ავტომობილზე შეთანხმების გასაფორმებლად. თუმცა მეორე დღეს ხელქვეითმა მას დაურეკა და უთხრა, რომ მიცემული ფული საკუთარი კრედიტის დასაფარავად დახარჯა და ამის გამო დავალებული საქმე არ შეუსრულებია.

უნვერდის თქმით, მას სხვა თანამშრომლებმა უამბეს, რომ მანამდე ხელქვეითს მისი მოკვლა სურდა. მან თითქოსდა კორონავირუსით ინფიცირებულის ნერწყვი 70 დოლარად შეიძინა და შეუმჩნევლად ურევდა მის ჩაიში. თუმცა უნვერდის ის ჩაი არ დაულევია და ამიტომაც გადაურჩა დაინფიცირებას. ამის შემდეგ ხელქვეითმა უფროსის მიმართ მუქარა დაიწყო, კერძოდ, ცეცხლსასროლი იარაღით მოკვლით ემუქრებოდა. მან უნვერდის გაუგზავნა შეტყობინება, რომელშიც ეწერა: „ვერ მოგკალი ვირუსით, შემდეგ ჯერზე ტყვიას შუბლში დაგახლი“.

საბოლოოდ ავტოსალონის მფლობელმა პოლიციას მიმართა, რის შემდეგაც მისი თანამშრომელი სამართალდამცავებმა დააკავეს. მას მკვლელობის მცდელობის ბრალდება აქვს წაყენებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ლეკნარის მთის წმინდა გიორგის ეკლესიის კომპლექსური რეაბილიტაცია დაიწყება

ნიკორწმინდის ეპარქიის ეპისკოპოსის – მეუფე ვახტანგის ინიციატივით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, ფონდი „ქართუს“ და რაჭა-ლეჩხუმის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლობის საფუძველზე ლეკნარის მთის წმინდა გიორგის ეკლესიის კომპლექსური რეაბილიტაცია დაიწყება.



ლეკნარის მონასტერი მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა შავრაში. რაჭის ქედის სამხრეთი კალთის ძაღლ კლდეზე აგებული კომპლექსი ძველად „მთის წმინდა გიორგის“ სახელით მოიხსენიებოდა და ძლიერ, ყოვლის შემძლე სალოცავად ითვლებოდა. მთის წმინდა გიორგის ეკლესიის მფლობელობაში იმყოფებოდა მდიდარი საეკლესიო ინვენტარი, უძვირფასესი ჯვარ-ხატებით, რომელთა დიდი ნაწილი გასულ საუკუნეში უკვალოდ დაიკარგა. დღემდე შემორჩენილია მეფე ბაგრატ V-ის და სოლომონ II-ის მეუღლის, მარიამ დედოფლის მიერ 1795 წელს გაცემული შეწირულობის სიგელები. 1950-იან წლებში არქიტექტურული ძეგლი შეისწავლა ხელოვნებათმცოდნე მალაქია დვალმა, რომელმაც ივარაუდა ლეკნარის მთაზე ოდესღაც მონასტრის არსებობა. კვლევის თანახმად დადგენილია, რომ ლეკნარის სამონასტრო ანსამბლის ეკლესიის მთავარი ნავი აგებულია IX საუკუნის II ნახევრიდან X საუკუნის I ნახევრამდე. მისი ჩრდილოეთი მინაშენი მოგვიანებით, X საუკუნის დასასრულს ან XI საუკუნის პირველ მესამედში იყო მიშენებული, ხოლო დასავლეთი მინაშენი კიდევ უფრო გვიანდელია. წმ. გიორგის ეკლესია დახვეწილად თლილი შირიმის ქვითაა ნაგები, რომლის გამორჩეულად მაღალმხატვრული ორნამენტები დღემდეა შემორჩენილი.

კომპლექსური რეაბილიტაციის საწყის ეტაპზე არქიტექტურული კომპლექსი ნაშალი ქვებისაგან გაიწმინდება, რომლებიც მარკირების შემდეგ კვლავ არქიტექტურულ სტრუქტურას დაუბრუნდება. განხორციელდება ეკლესიის მიმდებარე არეალის არქეოლოგიური შესწავლაც. სამეცნიერო კვლევის მასალები საფუძვლად დაედება საკულტო ნაგებობის სარესტავრაციო პროექტს, რომელიც ფონდი „ქართუს“ ფინანსური უზრუნველყოფით შემუშავდება.

საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერით წარიმართება წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის რამდენიმეწლიანი პროცესიც, რაც არქიტექტურული ნაგებობის აღდგენასთან ერთად, არქეოლოგიურად გამოვლენილ არქიტექტურულ ფრაგმენტებზე სამონასტრო კელიის მოწყობასაც მოიცავს. პარალელურად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სამხარეო ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყობა ლეკნარის მთის შაორთან დამაკავშირებელი გზის მონაკვეთი, რომელიც სამომავლოდ სარეაბილიტაციო პროცესის ლოგისტიკურ საჭიროებებს უზრუნველყოფს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

მოთხილამურე დათვის თავდასხმას ცოცხალი გადაურჩა

ამერიკის ალასკის შტატის ქალაქ ჰეინსის მახლობლად თხილამურებით სრიალის დროს მამაკაცს თავს დათვი დაესხა.

შაბათს მამაკაცი, რომლის სახელი უცნობია, თხილამურებით სრიალისთვის მოუმზადებელ ტრასაზე სრიალებდა, როდესაც მას თავს დათვი დაესხა.

მოთხილამურემ თავისა და ხელების არეში დაზიანებები მიიღო. ამ ყოველივეს თვითმხილველი ორი მოთხილამურე სპორტსმენი გახდა. მათ დაშავებულს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს და მაშველები გამოიძახეს.

შემთხვევის ადგილზე მაშველებმა მამაკაცის ევაკუაცია შვეულმფრენით განახორციელეს და ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მოგვიანებით მათ მამაკაცის შვეულმფრენში ბოგირებით აყვანის ამსახველი ვიდეო გამოაქვეყნეს. ამავე დროს, არ ვრცელდება ინფორმაცია დაშავებულის ამჟამინდელი მდგომარეობის თაობაზე. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ის გონებაზე იმყოფებოდა და ლაპარაკს ახერხებდა.

დანარჩენი მოთხილამურეები მთებიდან დამოუკიდებლად დაეშვნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველოს ფედერაციას სანიოლის იმედი აქვს

ბოლო დღეების უმთავრესი თემა საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ახალი მწვრთნელია. ვილი სანიოლის დანიშვნასთან დაკავშირებით უფრო ვრცელი კომენტარი საქართველოს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა გააკეთა.

დავით მუჯირი:

– ფეხბურთში წარმატების ფორმულა არ არსებობს, მაგრამ კარგია, რომ დავნიშნეთ მწვრთნელი, რომელიც ბევრ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. სანიოლი უკვე კარგად იცნობს ჩვენს გუნდს. მასთან გასაუბრებამ დაგვარწმუნა, რომ სწორედ ის კანდიდატია, რომელიც იმედს გვაძლევს. სანიოლი ამბიციურია, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული და მსოფლიოს ციცე-ჩემპიონი. იძულებითი პაუზის შემდეგ წარმატების მიღწევა სურს. ეს გვაფიქრებს, რომ სწორედ ის კანდიდატია, რომელიც დღეს ჩვენს ნაკრებს სჭირდება.

მთავარი მწვრთნელი ერთია, მაგრამ ვინ დაეხმარება ფრანგ სპეციალისტს სამწვრთნელო შტაბში, მუჯირმა კომენტარი ამ თემაზეც გააკეთა.

– ვილის საქართველოში მხოლოდ ერთი ჩამოყვანილი ასისტენტი ეყოლება. მისი სურვილია, რომ მეკარეების მწვრთნელი, ერთი ასისტენტი და ანალიტიკოსი ქართველი იყოს. ის საქართველოში მალე ჩამოვა და მუშაობას შეუდგება.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს – სანიოლს თითქმის 4 წელია სამწვრთნელო კუთხით არსად უმუშავია.

– თუ სურვილი ექნება, ამ საკითხზე თავად ილაპარაკებს. ვიცით ის, რომ ოჯახური პირობების გამო იძულებული გახდა შეჩერებულიყო. თუმცა, ასაკის მიუხედავად, უკვე სერიოზული სანაკრებო და საკლუბო გამოცდილება აქვს – ავარჯიშებდა საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებს, მუშაობდა ეროვნული ნაკრების ტექნიკურ დირექტორად. ეს დიდი ნდობაა. მერე იძულებითი პაუზა ჰქონდა. ახლა კი შესაბამის შემოთავაზებას ელოდა. ხანგრძლივი მოლაპარაკება გვქონდა. ისე არ იყო, რომ დავურეკეთ და ვუთხარით, ვილი, ნაკრებში გნიშნავთ და ჩამოდიო.

რა თანხას მიიღებს სანიოლი, რა წერია 43 წლის სპეციალისტის კონტრაქტში? როგორც ყოველთვის, სახელფასო თემა საქართველოში იმალება, სხვა კი...

– საქართველოში ხშირად იქნება – ეს კონტრაქტშია ჩაწერილი და თავადაც სურს, რომ აქ ხშირად ჩამოვიდეს. თუმცა, ჩვენი ნაკრები სპეციფიკურია, რადგან ბევრი ლეგიონერი გვყავს. სხვათა შორის, მან ნაკრების წევრების და კანდიდატების შესწავლა უკვე დაიწყო და გამიკვირდა, როდესაც კონკრეტულ გვარებს უშეცდომოდ ამბობდა.

სანიოლის ოფიციალური მატჩების გარდა, ნენა ამსანაგურიც თამაშობს ელს.

– ევროპაში ძალიან ცოტა გუნდია, რომელიც ჩვენსავით 5-გუნდიან ჯგუფშია და ისვენებს. 99 პროცენტით გადაწყვეტილია სექტემბრის და ნოემბრის მეტოქეები. სავარაუდოდ, სექტემბერში ბულგარეთს შეეხვდებით. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ნოემბერში ვის შეეხვდებით. მოლაპარაკება გვაქვს ბელარუსთან, ლიეტუვასა და ყაზახეთთან. სავარაუდოდ, ყაზახეთთან თბილისში თამაში მოგვიწევს. თუმცა, ჯერ ეს ოფიციალურად არ დადასტურებულა.

ცნობისთვის, უკვე გადაწყვეტილია, რომ მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს ნაკრები ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს. ვილი სანიოლის გუნდი 2 ივნისს რუმინეთის ნაკრებს ესტუმრება.

პსჟ-მ და ლივერპულმა მეოთხედფინალისკენ გაიხედეს

ბარსელონა-პსჟ 1:4

ბარსელონა. ნოუ კამპი

1:0 მესი (26პ), 1:1, 1:2 მბაპე (32, 65), 1:3 კინი (70), 1:4 მბაპე (85)

ბარსელონა: ტერ შტეგენი, დესტი, (მინგესა 71), პიკე (პუჩი 79), ლონგლე, ალბა, დე იონგი, ბუსკეტსი (პიანიჩი 79), პედრი (ტრინკაო 79), გრიზმანი (ბრაიტვაიტი 85), მესი, დემბელე

პსჟ: ნავასი, ფლორენცი (კერერი 89), მარკინიოსი, კიმპემბე, კურზავა, პარედესი, გიე (ა.ერერა 46), კინი (დანილო 85), ვერატი (დრაქსლერი 73), მბაპე, იკარდი

კატალონიელებმა, ფაქტობრივად, პირველივე მატჩში დაკარგეს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი.

იმის მიუხედავად, რომ ანგარიში ბარსელონამ გახსნა, პარიზელებმა დამაჯერებლად მოიგეს. მესიმ პენალტი გაიტანა და თამაში უფრო გაიხსნა. უფრო მწვავედ ფრანგები გამოიყურებოდნენ და მბაპემ ჯერ კიდევ შესვენებამდე გაათანაბრა.

აი, მე-2 ტაიმში კი, პსჟ დომინირებდა როგორც ორგანიზაციული კუთხით, ისე სახიფათო მომენტებით და ვანახეს, რამდენად სუსტია ბარსელონას დაცვის ორგანიზებულობა, ხოლო თუ შეტევაში მესის ბურთი არ ჰქონდა, ბარსას დახმარებას ვერავინ შეძლებდა. ვერც კუმანის შეცვლებმა იმუშავა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კილიან მბაპე

ამ კუთხით ყველა კითხვა მოხსნილია. მბაპემ ჩინებულად გაართვა თავი ბარსას მცველებს და თავი ჰეთ თრიკით გამოიჩინა. ეს კი „კამპ ნოუზე" ბევრ სტუმარს არ გაუკეთებია, თანაც ლამაზ სტილში.

რონალდ კუმანი:

– შედეგი საუკეთესო არ არის. 1:4-ის მიუხედავად, ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია. ამ დაპირისპირებაში კიდევ 90 წუთი რჩება, ჩვენ უნდა ჩავიდეთ პარიზში და საუკეთესოდ ვითამაშოთ. უნდა ვეცადოთ, რომ კარგ შედეგს მივაღწიოთ. პსჟ-ს ძალიან კარგი თამაში ჰქონდა, სწორედ ამიტომ გამოვიყურებოდით განსაკუთრებით სუსტად. პსჟ იყო ძლიერი, სწრაფი... მბაპე – ზღაპრული.

მე-2 ტაიმი ჩვენთვის მძიმე რეალობა აღმოჩნდა. არ შეიძლება დანებება, უნდა ვიბრძოლოთ. უნდა წამოვდგეთ და განსაცდელს შევეგებოთ, შევნიშნოთ შეცდომები, გავაკეთოთ საჭირო ანალიზი და წინ წავიდეთ. მატჩი წინაა და უნდა ვცადოთ მაინც.

რა ღირს მბაპე დღეს? არ დავიწყებ მის შეფასებას, ის უბრალოდ დიდებული ფეხბურთელია. ის ჯერ ახალგაზრდაა და საოცარი მომავალი ელის. ის შესაძლოა, ფეხბურთში ერთერთი საუკეთესოც გახდეს.

მაურისიო პოჩეტინო:

– კარგი თამაში გვქონდა, მაგრამ აქამდეც ვიცოდით, რომ ეს დუელი 180 წუთი გრძელდება. შედეგით ბედნიერები ვართ, ეს მეტ თავდაჯერებას მოგვიტანს. ყველაფერი პარიზში გადაწყდება. იგივე ინტენსივობით უნდა ვითამაშოთ, როგორც სტუმრად. ეფექტურები ვიყავით და მოგებას ვიმსახურებდით. აშკარაა, რომ კილიანი დიდებული ფეხბურთელია. მან ეს 3 გოლით გვიჩვენა. 3 გოლის გარდა მან გუნდისთვის დიდი ძალისხმევა გამოიყენა, თუნდაც დაცვითი ამოცანების შესრულებაში. 3 კვირაში საპასუხო თამაში გველოდება, რომელშიც კვლავ მოგვიწევს ჩვენი ხარისხის ჩვენება.

ლაიპციგი-ლივერპული 0:2

ბუდაპეშტი. პუშკაშ არენა

0:1 სალაჰი (53), 0:2 მანე (58)

ლაიპციგი: გულაში, მუკიელე (ორბანი 64), უპამეკანო, კლოსტერმანი, ადამსი, ჰაიდარა (პოულსენი 64), კამპლი (ჰი ჩანი 73), ზაბიტცერი, ანხელინიო, ოლმო, ნკუნკუ

ლივერპული: ალისონი, ალექსანდერ-არნოლდი, კაბაკი, ჰენდერსონი, რობერტსონი, ალკანტარა (ოქსლეიდ-ჩემბერლენი 72), ვეინალდუმი, ჯონსი, სალაჰი (უილიამსი 90), ფირმინო (შაქირი 72), მანე

გამოცდილმა კლოპმა აშკარად დაჩაგრა ახალგაზრდა ნაგელსმანი. არადა, პრემიერლიგაში ზედიზედ 3 განცდილი მარცხის შემდეგ ლივერპულს ეს მოგება ჰაერივით სჭირდებოდა.

პირველი ტაიმი მეტნაკლებად თანაბარი გამოდგა. მერსისაიდელები დაცვაში არ უშვებდნენ ისეთ შეცდომებს, როგორც ეს პრემიერლიგაში მოსდით. აი, ლაიფციგი კი თანდათან კარგავდა სათამაშო რიტმს და შეცდომებს უმატებდა. ამ ყველაფერმა თავი შესვენების შემდეგ იჩინა.

მე-2 ტაიმის დასაწყისშივე გერმანელებმა რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვეს და სალაჰი-მანეს დუეტმა დასაჯა ლაიფციგი. გოლები ერთმანეთს ძალიან ჰგავდა – თითქოს არაფრიდან გავიდა, სწრაფი კონტრშეტევის ხარჯზე.

მართალია, ლივერპული 2 ბურთით იყო წინ, მაგრამ გერმანელებთან მოშვება არ შეიძლება. ამიტომაც კლოპის გუნდმა ყურადღებით გააგრძელა თამაში და მიუხედავად იმისა, რომ ლაიპციგმა რამდენიმე კარგი მომენტი შექმნა, საპასუხო მატჩის წინ მშვენიერი ჰანდიკაპი შეიქმნა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მოჰამედ სალაჰი

მანემ და სალაჰმა ევროტურნირებზე საკუთარი ხასიათი კვლავ გამოაჩინეს. ორივე მათგანი ძალიან კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ უპირატესობა სალაჰს მივაკუთვნეთ, როლის გოლმა, ფაქტობრივად, გატეხა გერმანული კლუბი.

იულიან ნაგელსმანი:

– პირველი ტაიმი საკმაოდ თანაბარი იყო. ლივერპულს ბურთის ფლობა უფრო მეტი ჰქონდა, მაგრამ არა მგონია, რომ ჩვენზე მეტი საგოლე შანსი ჰქონოდა. ჩვენ არ ვიყავით ისეთივე თამამები, როგორც მე-2 ტაიმში, რომელშიც ბევრად უკეთ ვითამაშეთ, უამრავი შანსი შევქმენით, მაგრამ ასევე დავუშვით 2 გიჟური შეცდომა, რომლის გამოც ნებისმიერ დონეზე დაისჯები. ჩვენი შეტევების დაბოლოვება უარესი იყო, ამაზე უფრო მეტი უნდა ვილაპარაკოთ, ვიდრე შეცდომებზე. ეს თამაშის ნაწილია, მაგრამ საერთო ჯამში ვფიქრობ, რომ კარგად ვითამაშეთ. ცხადია, საპასუხო მატჩში მინიმუმ 2 გოლი უნდა გავიტანოთ, რომ დამატებით დროში გადავიდეთ, მაგრამ ის თამაში ისევ 0:0-დან დაიწყება და ვაჩვენეთ, რომ საგოლე შანსების შექმნა შეგვიძლია. ეს საპასუხო მატჩშიც უნდა გავაკეთოთ და შეცდომები გამოვრიცხოთ.

იურგენ კლოპი:

– ეს იყო თამაში, რომელიც გვინდოდა და გვჭირდებოდა. ლაიპციგს შეუძლია ნამდვილი მონსტრი იყოს, როგორც ამას ბუნდესლიგაში აჩვენებს, მაგრამ თამაში განსაკუთრებულად გავაკონტროლეთ. მეტოქეს ჰქონდა მომენტები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს შედეგი დავიმსახურეთ. ჩვენი მე-2 გოლის დროს თავის დაცვა ნამდვილად რთული იყო. მცველს იმ მომენტში იღბალი სჭირდებოდა, მაგრამ არ გაუმართლა, რადგან სადიო იქ იყო და უპირატესობა მოიპოვა. მთლიანობაში რთული თამაში იყო. არ შეგვიძლია გიგანტის მენტალიტეტი ერთი თამაშით ავაშენოთ, მაგრამ ნამდვილად კარგად ვითამაშეთ. ეს მხოლოდ პირველი მატჩი იყო. ვიცი, რომ ბევრი ადამიანი ელოდა, რომ ისევ დავეცემოდით, მაგრამ ბიჭებმა შესანიშნავი საქმე გააკეთეს და მათ გამო ბედნიერი ვარ. 2 წლის განმავლობაში მართლაც კარგები ვიყავით და წელს გვაქვს გარკვეული პრობლემები. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ხალხი ჩვენგან ისევ ელოდება რაღაც განსაკუთრებულს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალათბურთელები სერბეთისთვის ნაყოფიერად ემზადებიან

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები თებერვლის „ბაბლისთვის" სრული დატვირთვით ემზადება. ნაკრებმა მორიგი ვარჯიში გამართა და ილიას ზუროსმა გუნდი სრული შემადგენლობით ავარჯიშა.

ბერძენმა სპეციალისტმა ნაკრების კალათბურთელები კომპლექსურად, არაერთ კომპონენტში ავარჯიშა, თუმცა მეტი დრო კომბინაციების გათამაშებას დაუთმო. მწვრთნელებმა მოთამაშეებს ჯერ ცალ ფარში დაამუშავებინეს არაერთი კომბინაცია, შემდეგ კი ორმხრივი, სტანდარტული კალათბურთი ათამაშეს და დაცვისა თუ შეტევის დეტალებზე გაამახვილეს ყურადღება.

სამწვრთნელო შტაბი იმაზე მუშაობს, რომ ნაკრები 19 თებერვალს, სერბეთთან დაგეგმილ მატჩს სრულად მომზადებული შეხვდეს როგორც ფიზიკური, ისე ტაქტიკური კუთხით.

დუდა სანაძე:

– ნაკრები ძომდეკნო თამაშებისთვის ემზადება და ყოველდღიურად ორჯერადი ვარჯიში გვაქვს, როგორც ფიზიკური, ასევე – ტაქტიკური. სრული შემადგენლობით ვიყავით, ტაქტიკა დავხვეწეთ და პროდუქტიული დღე იყო. ვფიქრობ, შემდეგ დღეებსაც ჰოზიტიურად გამოვიყენებთ და მატჩებისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნებით.

გიორგი კორსანტია:

– 2 დღეა უკვე სრული შემადგენლობით ვართ და ის ბიჭები, რომლებიც რამდენიმე დღის წინ შემოგვიერთდნენ, ყველანი ოპტიმალურ ფორმაში არიან. ასე რომ, პირდაპირ გადავედით როგორც ტაქტიკურ ვარჯიშებზე, ასევე თითოეული დეტალის განხილვაზე, რომელიც ჯერ სერბეთთან, შემდეგ კი, ფინეთთან თამაშებისთვის დაგვჭირდება.

ისრაელის გრან პრიზე სახეშეცვლილი გუნდით ჩავალთ

18-20 თებერვალს, ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივში ძიუდოს გრან-პრის გათამაშება გაიმართება, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, სპორტის ამ სახეობაში 2021 წლის სეზონი დოჰას მასტერსით დაიწყო, სადაც ლაშა ჯუჯეჯიანის შეგირდებმა დამაჯერებლად იასპარეზეს და შინ 2 ჩემპიონითაც დაბრუნდნენ. ყატარის დედაქალაქში ოქროს მედლები ტატო გრიგალაშვილმა და ვარლამ ლიპარტელიანმა მოიპოვეს.

სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით თელ-ავივის გრან-პრიზე ყატარის ჩემპიონები არ იჭიდავებენ და ჩვენი გუნდიც ოდნავ გადახალისებული შემადგენლობით წარდგება.

ნაკრებში დებიუტი ექნებათ გიორგი ბაზანდარაშვილს, ვლადიმერ ახალკაცსა და ილია სულამანიძეს.

საქართველოს ნაკრები ისრაელში შემდეგი შემადგენლობით იასპარეზებს:

ამირან პაპინაშვილი, თემურ ნოზაძე (60კგ); ბაგრატ ნინიაშვილი, გიორგი ბაზანდარაშვილი (66); ლაშა შავდათუაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი (73); ლუკა მაისურაძე, ვლადიმერ ახალკაცი (81); ბექა ღვინიაშვილი, ლაშა ბექაური (90); ილია სულამანიძე, ონისე სახელიძე (100); გურამ თუშიშვილი, გელა ზაალიშვილი (+100).

შედეგები

16 თებერვალი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ბარსელონა-პსჟ	1:4
ლაიფციგი-ლივერპული	0:2

ინგლისი. ჩემპიონლიგა

პრესტონი-უოტფორდი	0:1
სტოკი-უესხემი	1:0
ბრისტოლი-რედინგი	0:2
მიდლსბრო-ჰადერსფილდი	2:1
უილმბი-დერბი	1:2
ლუთონი-კარდიფი	0:2

პოჩტაგალია. პიმეირა ლიგა

ტონდელა-მარიტიმუ	2:1

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პიჩვეობა

კაცები

რუბლიოვი-მედვედევი	5:7,3:6,2:6

ქალები

ბარტი-მუხოვა	6:1,3:6,2:6
ბრეიდი-მუგურუა	4:6,6:2,6:1

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. დიდი, ხმაურიანი წარმატება; 2. მდინარე სვანეთში; 3. კინოცენტრი ინდოეთში; 4. ურწმუნო, უღმერთო ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 6. თანამედროვე, მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 8. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის დეკორატიული მცენარე; 11. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. თოკზე მოსიარულე ჯამბაზის ძველებური სახელწოდება; 16. ტვირთბრუნვით ერაყის ყველაზე დიდი ნავსადგური; 17. შიკრიკი, ამბის მომტანი; 18. სახელმწიფოს ერთერთი სიმბოლო.

თარაზულად: 1. უძველესი ქართული ცეკვა, რომელიც ახალი წლის პირველ დღეს სრულდებოდა; 5. შოკოლადის ხე; 7. ღვინის ხის კასრების მკეთებელი ოსტატი; 9. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი დისციპლინა; 10. ესპანელი მხატვარი; 13. საზაფხულო ფეხსაცმელი; 14. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 15. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 19. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 20. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 21. კუთხე საქართველოში; 22. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყაზბეგი; 2. ჭრიჭინა; 3. სკეტჩი; 4. პემზა; 5. კელასური; 7. სკა; 11. თეატრი; 15. შკიპერი; 16. ჰამერი; 17. ვერფი; 18. ონიმა; 20. ნიყვი; 22. ლიდა.

თარაზულად: 6. ალოსსო; 8. კრიტიკა; 9. რუმპელი; 10. ბაღდათი; 12. კეჩუა; 13. არესი; 14. გაგარინი; 19. ბაიდენი; 21. ლევილი; 23. ნორმა; 24. ეფენდი; 25. ტრამვაი; 26. ფართინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რობაია; 2. ემოცია; 3. ვერდილიო; 4. ფირუზი; 6. მალიორკა; 8. ანდები; 11. სიბარიტი; 12. უოტსონი; 16. თრუსო; 17. ბასფი; 18. დათვი.

თარაზულად: 1. როლექსი; 5. მონმე; 7. თერაპია; 9. ავიცენა; 10. კუპდარი; 13. ბენიასა; 15. ბოსი; 19. ოსტერია; 20. სამთავრო; 21. პორტვეინი; 22. აირანი.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 3.3044
- ევრო — 3.9871
- დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5832
- 100 რუსული რუბლი — 4.4741

ამინდის პროგნოზი 18 თებერვლისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 თებერვლიდან

ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია

ტომი 2

სერია „ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიაში" თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქისა და მიმდინარეობის ქართველი მწერლების რჩეული საბავშვო მოთხრობები. მათი წაკითხვა ფრიად გაამდიდრებს ბავშვის ფანტაზიას, წარმოსახვის უნარს, ლექსიკას და შეაყვარებს ლიტერატურას.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ჯორდან ჰენდერსონი: „ჯერ საქმე ბოლომდე არ მიგვიყვანია"

ლივერპულმა ლაიპციგს სტუმრად 2:0 მოუგო და მეოთხედფინალში გასვლა თითქმის გაინაღდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ლივერპულის კაპიტანი ჯორდან ჰენდერსონი თვლის, რომ მათ საქმე ჯერ არ დაუსრულებიათ და წინ მეორე მატჩია, სადაც ყურადღებით ყოფნაა საჭირო:

– ნამდვილად კარგი შედეგით მოვდივართ ლივერპულში და ეს გამარჯვება დავიმახსოვრეთ, მაგრამ ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა და საკუთარ მოედანზე ყურადღებით უნდა ვიყოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ბუკმეკერები პრინც ჰარის და მეგან მარკლის მეორე ბავშვის სახელზე ფსონებს იღებენ

ბრიტანელმა ბუკმეკერებმა დაიწყეს ფსონების მიღება პრინც ჰარის და მისი მეუღლის მეგან მარკლის მეორე ბავშვის სახელზე.

ბუკმეკერულმა ფირმა Ladbrokes-მა იწინასწარმეტყველა, რომ მომავალი ბავშვის სახელი, ისევე, როგორც პრინც ჰარის და მეგან მარკლის პირველის შვილის სახელი ასო „ა-ზე" დაიწყება. სახელების ალფის და ალექსანდრას ალბათობა ოთხი ერთთან ფასდება. სხვა ვერსიით ბავშვს დიდი ბებიის, დედოფალ ელისაბედ II-ს პატივსაცემად დაარქმევენ სახელს, ან დიდი პაპის, პრინც ფილიპის პატივსაცემად. ამ სახელებზე ფსონი ექვსი ერთთან ფასდება.

იმის ალბათობა, რომ ბავშვი პრინც ჰარის დედის, პრინცესა დიანას სახელს მიიღებს, ათი ერთთან ფასდება. ამ აზრს იზიარებს არა მხოლოდ Ladbrokes-ში, არამედ კიდევ ერთი ბუკმეკერული ფირმა Coral-შიც. ამ ფირმაში ასევე არ გამორიცხავენ, რომ ბავშვს სპენსერი დაარქვან პრინცესა დიანას ქალიშვილობის გვარის პატივსაცემად (ფსონი თორმეტი ერთთან), ალბერტი (16 ერთთან), ელისაბედი (16 ერთთან) და ფილიპი (16 ერთთან).

Betfair-ის ბუკმეკერულ ფირმაში პრიორიტეტულია სახელები ოლივერი და დიანა, რომელთა ალბათობა რვა ერთთანაა შეფასებული. მეგან მარკლის დედის დორიეს სახელზე ფსონი 25 ერთთანაა. ამავე დროს კომპანიის წარმომადგენელმა აღიარა, რომ თავის დროზე მათ ვერ გამოიცნეს, თუ რას დაარქმევდნენ პრინცი ჰარი და მეგან მარკლი თავიანთ პირველ შვილს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

18 თებერვლისათვის

ვერძი – ოჯახში პატარა გაუგებრობა შეგექმნებათ. იყავით კეთილგონიერი და მომთმენი. ** კურო** – პროვოკაციული დღეა. კომპრომისზე წასვლა დაუშვებელია. ერიდეთ კამათს ოჯახის წევრებთან. **გაუპები** – მწვავდება ქრონიკული დაავადებები. ილუზიებს არ აჰყვეთ. იყავით რეალისტი. **კირჩხიბი** – ერთი შეხედვით, კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა, არ არის გამორიცხული, მცირედი სანერვიულო შეგხვდეთ. საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდეთ. **ლომი** – გეგმები შეიმუშავეთ და მათ რეალიზებას თამამად შეუდექით. ვარსკვლავები გმფარველობენ. **ქალწული** – სამოგზაუროდ, მივლინებაში წასვლა სასურველი არ არის. კარგი იქნება, თუ ამ დღეს სახლში გაატარებთ. **სასწორი** – ნაყოფიერი დღეა. მიზანს ადვილად მიაღწევთ. შრომა დაგიფასდებათ. **ღრიანკალი** – თავს კარგად გრძნობთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. **მშვილდოსანი** – საქმეში წინსვლა გელით. რომანტიკული ურთიერთობისაგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – აქტიურობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი დღეა. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა სურვილების ასრულების კუთხით. მოსალოდნელია სასიამოვნო ცვლილებები პირად ცხოვრებაში. **თევზები** – ყოველგვარი ურთიერთობა ნორმალიზდება. საკუთარ ავტორიტეტს გაუფრთხილდით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ზარი მერიაში:

– ალო, გვინდა, განცხადება შემოვიტანოთ მშვიდობიანი დემონსტრაციის გამართვაზე.

– მშვიდობიანი იქნება თუ არა, ეგ თქვენი კი არა, სპეცრაზმის გადასაწყვეტი იქნება.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

– ჩემს მეგობარ ქალთან ჯერ საწოლში მქონდა სექსი, შემდეგ – დივანზე, შემდეგ – სავარძელში, შემდეგ – კომპიუტერის მაგიდაზე...

– მერე?

– მერე ავეჯის მაღაზიის თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს.

●●●

ღამით ცოლი ქმარს აღვიძებს. კაცი გაოგნებული ეკითხება:

– შენ რა, გაგიჟდი?! ღამის სამი საათია, რა მოხდა?

– თავის ტკივილმა გამიარა.

●●●

ერთი მოსამართლე მეორეს ეკითხება:

– გავიგე, ქალიშვილი გაგითხოვებია. ძვირი დაგიჯდა?

– არა, სულ რაღაც ორი პირობითი ვადა...

●●●

ქალი შეყვარებულს ეკითხება:

– ყვავილებს რატომ არ მჩუქნი?

– მე შენ მთელ მსოფლიოს გჩუქნი, ასე რომ, შეგიძლია, ქუჩაში ნებისმიერ ყვავილს დაყნოსო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დავით არჩვაძემ რაჭას სიმღერა მიუძღვნა

მომღერალმა და კომპოზიტორმა დავით არჩვაძემ საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს – რაჭას სიმღერა მიუძღვნა.

– რაჭველებო და ქართველებო, მძიმე ვითარების განსამუხტად, ჩემი ახალი ვიდეო კლიპი ჩვენს ულამაზეს რაჭას, – განაცხადა ხელოვანმა და ინტერნეტში თავისი ახალი ნამუშევარი განათავსა.

როგორც მოსალოდნელი იყო, დათოს სიმღერას უამრავი მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი აქვს.

ეკა კვალიაშვილი: „მიყვარხართ ხელოვანნო"

მომღერალი ეკა კვალიაშვილი თავის კოლეგებს სიყვარულში საჯაროდ გამოუტყდა და მათ ამ პანდემიის დროს ახალი იდეა შესთავაზა:

– ნამდვილნო ხელოვანნო! ძალიან მაგარი იდეა მაქვს, უბრალოდ დაძვრა სჭირდება და ყველაფერი საუკეთესოდ, ფორსირებულად და აფასებულად დაიქოქება. სად შევიყაროთ და გეტყვით. ჩემთან მოდით. მიყვარხართ ხელოვანნო და კიდევ ერთი მინდა დავამატო! არც არავის იმედზე არ უნდა იყოთ. ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ნებით, ჩვენით გავაკეთოთ ჩვენთვის რაც გვინდა, მხოლოდ ერთი პირობით. თუ მთავრობას არ აინტერესებს ხელოვნება, თუ არ აინტერესებს ეს სფერო, არც ხელოვანთ არ აინტერესებთ დღგ და მისთანანი.

მომისმინეთ ყურადღებით! – როგორც შენ გინდა მოგექცნენ, ისე მოექეცი სხვას! – დიდი გადარჩევა დაწყებულია და ჩვენი არჩევანიც ბავშვობიდან მიღებულია. ჩვენ ვართ ხელოვანთა კავშირი, ვინც ხართ ჩვენს გვერდით, დაწერეთ თქვენი გვარ-სახელები და ხელოვნების სფერო!

კახი კავსაძე საავადმყოფოში მოათავსეს



თეატრისა და კინოს მსახიობი კახი კავსაძე პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში მოათავსეს. 85 წლის მსახიობს ორმხრივი პნევმონია აქვს.

ინფორმაცია ჟურნალისტებს კლინიკაში დაუდასტურეს. კახი კავსაძე პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში რამდენიმე თვის წინ კორონავირუსის დიაგნოზით მოხვდა, თუმცა მსახიობმა დაავადება დაამარცხა და გამოჯანმრთელდა.

ზურა დოიჯაშვილს საქართველოში 22 თებერვალს ჩამოასვენებენ

მომღერალ ზურა დოიჯაშვილს ისრაელიდან საქართველოში 22 თებერვალს ჩამოასვენებენ.

ინფორმაცია ჟურნალისტმა მაია კახიძემ გაავრცელა.

– სამწუხაროდ, უთბილესი და დიდებული თბილისელი, საუცხოო ქართველი მომღერალი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 14 თებერვალს, 58 წლის ასაკში გარდაიცვალა. ზურა 11 თვის განმავლობაში ისრაელის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობდა. მომღერალი მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა. დიაგნოზი გახლდათ ამიოტროფული გვერდითი სკლეროზი. იანვრის ბოლოს მომღერლის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა და აი, სამი დღის წინ ისევ უმძიმესი ამბავი მოხდა, ზურა დოიჯაშვილი გარდაიცვალა.

ზურას 22 თებერვალს ჩამოასვენებენ საქართველოში. ეჰ, რომ იცოდე, როგორ მენანები, ზურიკო, როგორ.

„ჩოხოსნებმა" ლადო მესხიშვილის დაბადების დღე აღნიშნეს

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასმა ლადო მესხიშვილის დაბადების დღე აღნიშნა.

უკვე 40 წელია ჩოხოსნების ხელმძღვანელი, პროფესორი გოგი დოლიძე ყოველი წლის 16 თებერვალს, 3 საათზე, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მხარდამჭერებთან ერთად მიდის და მსახიობისა და რეჟისორის დაბადების დღეს აღნიშნავს.

წელს პანდემიის გამო, ლადო მესხიშვილის დაბადების დღე მოკრძალებულად აღინიშნა. მსახიობმა გივი ჩუგუაშვილმა, პოეტმა ბადრი ქუთათელაძემ, პროფესორმა მიხეილ ჯიბუტმა, ჩოხოსანმა დავით კოჭლამაზიშვილმა და პროფესორმა გოგი დოლიძემ დიდუბის პანთეონში ყვავილებით შეამკეს ხელოვანის საფლავი, სანთლები დაანთეს და კიდევ ერთხელ მოიგონეს მისი ღვაწლი.

გოგი დოლიძე, პროფესორი:

– უკვე 40 წელია 16 თებერვალს, 3 საათზე ვიკრიბებით დიდუბის პანთეონში ლადო მესხიშვილის საფლავთან და ვიხსენებთ მას. წელს პანდემიის გამო, უარი ვთქვით რეგიონებიდან სკოლების მოწვევაზე და მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა თითო ყვავილით და თითო სანთლით გავიხსენეთ ეს დიდებული ადამიანი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 2. ქართული კინოკომედია „დაკარგული სამთხის" რეჟისორი; 3. მდინარე ციმბირში; 4. ვირტუოზი ბელგიელი მეიოლინე მამაკაცი, კომპოზიტორი; 5. ისტორიული ქალაქი-სახელმწიფო მესოპოტამიაში; 7. არაბეთის ზღვისპირა კურორტი ინდოეთში; 11. ფილიპინების ყველაზე დიდი კუნძული; 15. ქალაქი იმერეთში; 16. კომპანია „ზარას" მფლობელი; 17. უნგრელი მწერალი, რომან „ოქროს კაცის" ავტორი; 18. ტრაგედია „ოტელოს" პერსონაჟი; 20. ლუკ ბესონის თრილერი; 22. გემის სიჩქარისა და განვლილი მანძილის საზომი ხელსაწყო.

თარაზულად: 6. ქართული სადაზღვევო კომპანია; 8. ინგლისის პრემიერ-მინისტრი; 9. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 10. ვაჟა-ფშაველას მშობლიური სოფელი; 12. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 13. გერმანული ავტომობილი; 14. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. საქართველოში გავრცელებული წითელი, ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 21. პატარა დასახლებული პუნქტი; 23. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 24. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 25. რაიონული ცენტრი მესხეთში; 26. მსხვილი სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა